№ 2803
კვირა,
24 აპრილი

ცნობის ფურცელი

№ 2803
კვირა,
24 აპრილი

ეროვნული

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მ. „თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით. პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „ცნობის ფურც." რედაქციის კონტორაში ვანქის ქუჩაზე, № 27. განცხადებანი რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და გ. მეტცლისა და კამპ. განცხადებათა კანტორებში მოსკოვსა და პეტერბურგში.

ყოველ-დღიური გამოცემა
1896—1905

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.—დაუბეჭდავს მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს. ხოლო ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-„Моамбе". ტელეფონი № 37.

ქვრივი გუქიტი ბეჟანის ასული კორქიასი, ქეთევან ბესლანის ასული ჯავახიასი, ერაჯი ბესლანის ძე კორქია და საჩინო კონსტანტინეს ძე ჯავახია გულითადის მწუხარებით ვაუწყებთ ნათესავთ და ნაცნობებს გარდაცვალებას პირველი ძვირფასის ქმრისა, მეორენი მამისა და მესამენი—სიმამრის აზნაურის

ბესლან ლომკაცის ძის კორქიასას.

გამოსვენება და დაკრძალვა დანიშნულია კვირას, 24 აპრილს, 3 საათზე, თავის საკუთარ სახლიდან, რაჭის ქუჩაზე, წმინდა ნიკოლოოზის ეკკლესიაზე ქალაქ გარეთში. (2—2)

დედა დესპინე დავითის ასული და მამა ალექსი ნიკოლოზის ძე ფარსადანოვი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ძვირფასის შვილის

სერიოჟას

გარდაცვალებას და სთხოვენ მობრძანდნენ გამოსვენებაზე სამშაბათს, 26 აპრილს დილის 10 საათზე, საკ. სახლი, მიხაილოვის ქ. № 225, საიდანაც წაასვენებენ დიდუბის ეკლესიაში. პანაშვიდი მუდამ დღე საღამოს 7 საათზე. (2—194—1)

წელიწადი **სანატორიუმი** მეორე

4400 ფუტის სიმაღლე. საზაფხულო სამყოფი 15 ივნისიდან 31 მარიამობისთვემდე.

ექიმის ვახტანგ დ. ღამბაშიძისა
პატარა-ცემში, ბაკურიანის რკინის გზაზედ.

მიიღებიან ქალ-ვაჟნი 8—16 წლამდე: სისხლნაკლებნი, დასუსტებულნი, მოქანცულნი, ნაავადმყოფარნი, მადა-დაკარგულნი, ჰაობის ციებით შეპყრობილნი და საერთოთ ვისაც ესაჭიროება მოღონიერება.

წამლობა განსაკუთრებით ბუნებრივი და ჰიგიენური: მთის ჰაერი, ფიჭნარი, დასვენება, უხვი საზრდო, გასართობი და სამკურნალო ვარჯიშობა, წყლით ექიმობა შეფარდებული თითოეულ ბავშვის აგებულობასთან.

დაწვრილებით ცნობების შეტყობა შეიძლება პირადად ანუ წერილობით ექიმ ვ. ღამბაშიძესთან: ტფილისი, ნიკოლოზის ქ., № 46, 4—5 საათამდე კვირა დღის გარდა. (0—6).

სეზონის უკანასკნელი ტანისამოსი
მოსდის ყოველ-კვირა
ძმ. აკოფჯანოვების და სარქისიანცის
შეკერილ ტანისამოსის პირველ კავკასიის ამხანაგობის საფაბრიკო დეპოს.
ნიკოლოოზის ხიდი, № № 25—30.
ვურჩევთ

ადგილობრივ და სხვა ქალაქიდან ჩამოსულ მყიდველებს ჩვენის და სხვის სახელოსნოებში ინგლისურ და ფრანგულ ჟურნალებზე დამზადებულ უკანასკნელ ფასონის ტანისამოსს, მანდილოსნის ზედა ტანისამოსს, კაცის და ბავშვის ტანისამოსს და ყოველგვარ პალტოს, რუსეთისა და საზღვარ-გარეთის ფაბრიკებში დამზადებულს. ფასი ხელ-საყრელია.

შეუვაჭრებლად. (0—8)

ძმ. ნიკიტინების ცირკი.

კვირას, 24 აპრილს, გაიმართება უკანასკნელი წარმოდგენა სამ განყოფილებად. სხვათა შორის გაიმართება სამი ჭიდაობა. 1. **კავკასიური ჭიდაობა** ცნობილ გერკულესის **ლიტვინოვისა** და **კულა გლდანელისა.** ჯილდო 100 მან. დასდო კულა გლდანელმა თუ წაიქცევა. 2. ცნობილ ფალავნებისა **ჯიბგირისა** და **სანდრო ცხინვალელისა.** ჯილდო ვერცხლის საათია. 3. მოყვარეთა ჭიდაობა. დასაწყისი საღამოს 8½ საათზე. (1—1)

ტფილისის ქალაქის
გამგეობა

ამით აცხადებს, რომ 30 აპრილს მოხდება **საჯარო ვაჭრობა**, რომელზედაც იჯარით გაიცემა ორ ქვითკირის აკვედუკის აგება. ეს აკვედუკები საჭიროა წყლის მილის გასადებად ხევ-ძმარას ღელეზე ავჭალაში და რკინის გზის დეპოსთან ნაძალადევში. პროექტების და პირობების გასინჯვა შეიძლება ყოველ დღე, მუშაობის დროს, დილის 9-დან ნაშუადღევის 2 საათამდე წყლის მილის განყოფილებაში. ფასები, პირობათა თანახმად, უნდა ბლანკებზე იყოს წარდგენილი (ბლანკები იქვეა) დაბეჭდილ კონვერტში 30 აპრილის ნაშუადღევის 2 საათამდე. (2—6.—1)

ტფილისის
კერძო სამკურნალო
მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:
მ. ი. ჭიჭინაძე. კბილის 8—9 საათ.
ზ. ზ. მადლაშვილი. შინაგანი ოთხშაბ. 9—10 საათ. და კვირაობით 9—11 საათ.
ა. ი. ბადარჯიშვილი.—ბავშვებისა. 9½—10½ ს.
ნ. ტ. მუდინი.—ყურისა, სასისა და ცხვ. 10—11.
ი. დ. ღამბაშიძე.—შინაგ. სამშ., ხუთშ., პარასკ. და შაბათობით 11—12.
ძ. მ. მაჩაბელი. შინაგ. და ბავშვ. 12—1.
დ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი, და ნერვებისა 12—1 ს.
ექ. ქალი მ. ა. იოსელიანი.—ქალისა და სა[illegible]ბით, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.
ა. ნ. დიასამიძე.—ვენერიული და კანისა 12½—1½ საათ.
ა. ხ. ალექსი-მესხიშვილი.—ქირურგია 1—2.

საღამოობს:
ხ. ი. მაჩაძე.—შინაგ. 6—7 საათამდე.

ოპერაციების გაკეთება შეუძლიათ გარეშე ექიმ-ქირურგებსაც.

ფასი რჩევასა და დარიგებისა 50 კაპ., საავადმყოფოს აქვს ოცი საწოლი. სამკურნალოში ოპერაციები მორიგებით. კრავატები დღეში ღირს 2-დან სამ მანეთამდე. საზოგადო და ნომერი—5 მან.

ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (კუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი) სალი აბრამოვისა, № 9. მიხეილის ქუჩიდან-კი 34 Б.
ტელეფონი № 274.

კბილის ექიმი
ა. ი. ბადარჯიშვილი
იღებს ავადმყოფებს 10—3 საათამდე და 5—7 მიხეილის ქუჩა № 115. გერმანელთა ტაძრის გვერდით. (30—278—19)

ექიმი
ვ. ს. მუსხელიშვილი
მიიღებს თვალებით ავადმყოფებს: დილით 12—2 ს. საღამოთი 6—7 ს. ყოველ დღე გარდა სამშაბათისა. კუთხე კირკის და დიდი მთავრის ქუჩებისა სახლი სვანიშვილისა № 11.

ქ. ბათუმში
ექიმი ა. გ. მადლაშვილი
მიიღებს შინაგანის და ბავშვების სნეულებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9—10 საათამდის.
ტფილისის და ვლადიკავკავის ქუჩების კუთხეში კომერციული ბანკის სახლი. (60—408—59)

კბილის ექიმი
ივანე კ. ახალშენიშვილი
[illegible]: ნიკოლოზისა (№ 82) და ხიდია. (№ 21) კუთხეში, ავჭალის ქ. დასაწყისში, სახლი ლაზარაშვილისა. ავადმყოფებს იღებს 9—2 და საღამოს 5—7. კვირა-უქმით 10—1-მდე!.

ნამდვილი ცელულიარული
თესლი აბრეშუმისა
ბაღდადის ჯიშისა, ოსმალეთის საუკეთესო ფირმებისა
ა. კ. ზახარიადისა.

ერთად-ერთი წარმომადგენელი კავკასიაში **ძმ. პახკალიდებისა** აგრეთვე ვყიდი საჯიშო თესლს ბაღდადის ჯიშისას. მსურველთ შეუძლიანთ აგრეთვე ჩემგან შეიძინონ თესლი ოსმალეთის და საფრანგეთის საუკეთესო ფირმებისა. 20 აპრილამდის მიჰმართეთ: ტფილისში, სოლოლაკი, ლერმონტოვის ქ. № 18 და 20 ერამოვის სახლი. (30—429—26)

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან"

22 აპრილი

პარიზი, 22 აპრილი. „მატენ"-ი იუწყება, როჟესტვენსკის ესკადრამ მიატოვა კამრანი და 17 აპრილს ღუზა გადააგდო ბინკანგის ბუხტაში, რომელიც ამ უკანასკნელის ჩრდილოეთით იმყოფება რამდენიმე კილომეტრის მანძილზედ. როცა საფრანგეთის მთავრობას ამბავი მოუვიდა, როჟესტვენსკის ესკადრა ბინკანგის ბუხტაშია, მაშინვე ჟონკიერი გაჰგზავნა საიგონიდან საფრანგეთის ნეიტრალიტეტის დასაცველად.

სინგაპური, 22 აპრილი. ნებოგატოვის ესკადრამ თვალის მომჭრელ სისწრაფით ჩაიარა აღმოსავლეთისაკენ. აქ ჰფიქრობენ, იგი საიგონში შევა, ნახშირსა და სურსათს დაუდებს და შემდეგ შეუერთდება როჟესტვენსკისაო.

სინგაპური, 22 აპრილი. რუსის მესამე ესკადრამ სინგაპურთან ჩაიარა და ჩინეთის ზღვისაკენ წავიდა.

რიგა. რადგანაც გლეხებისაგან განცხადება შემოვიდა, ზოგიერთმა მემამულეებმა ფასი კი არ მოგვთხოვეს მიწებზე, არამედ სამაგიერო მუშაობა და ამით დაარღვიეს 1860 წ. მე-5 მუხ. ლიფლიანდელ გლეხკაცობის შესახებ დებულებისა, ამიტომ ლიფლიანდიის გუბერნატორებს მოწერილობა დაეგზავნათ, რომ ფული უნდა აიღონ მემამულეებმა და არ უნდა მოითხოვონ სამაგიერო სამუშაო. ამით უქმდება დღემდე ფარული მუშაობა მებატონის სასარგებლოთ.

კრემენჩუგი. რამდენიმე შემთხვევა იყო კეფის კანტრაქტურით ავადმყოფობისა; ზოგი გარდაიცვალა.

რეველი, 21 აპრილი. ზოგიერთ სახელოსნოებში გაიფიცნენ მკერვალები ქალები და კაცები; ითხოვენ ხელ-ფასის მომატებას და სამუშაო დროს ერთი საათით შემცირებას.

ლოძი, 21 აპრილი. საღამოს 5 საათზე ქუჩაში, სადაც აურებელი ხალხი იყო, ბოროტ-გამზრახველნი თავს დაესხნენ საიდუმლო პოლიციის მეთვალყურის შვილს და რამდენიმე ჭრილობა მისცეს მას თავში. ბოროტ-გამზრახველნი მიიმალნენ.

ბალახნა, 21 აპრილი. სოფ. ჰოგოსტში 500 გლეხი მივიდა თ. ბარიატინსკების მამულთან და მოითხოვა მოურავისაგან, უსასყიდლოდ დაგვითმონ მემამულეებმა საძოვარი მიწაო.

მოსკოვი, 22 აპრილი. მესტამბეთა კავშირმა მოუწოდა ასოთ-ამწყობთ, 1 მაისის უქმობასა და საზოგადოთ უქმეებში დასვენების შესახებ.

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან"

22 აპრილი

პენანგი, 22 აპრილი. (რეიტერი). ჰოლანდიის ორთქლ-მავალმა გემმა, რომელიც ბატუდან მოდიოდა, დაინახა სუმატრის აღმოსავლეთით 7 სამხედრო გემი; არ იციან, ვის ეკუთვნიან ეს გემები.

პარიზი, 22 აპრილი. „მატენ"-ი იუწყება, იაპონიას განზრახვა აქვს, ხელ-ახლა განაცხადოს პროტესტი რუსის ესკადრის ხონკოეს ბუხტაში დგომის წინააღმდეგ, საითკენაც გაემართა ადმირალ ჟონკიერის ესკადრა, რათა ყური უგდოს ნეიტრალიტეტის დაცვასო.

გოცზიადანი. 22 აპრილი. დილის 10 ს. და 40 წ. ჩვენს მარცხენა ფრთას ბეჯითად ზვერავენ. 17 აპრილს ჩვენ მოვიგერიეთ ძლიერი მზვერავები.

ნანშან-ჩანზი, 22 აპრილი. 18 აპრილს ღამით ცინხეს ხეობაში ერთი სოტნა შეავიწროვეს ფენშულინის უღელ-ტეხილისკენ. 19 აპრილს კაზაკთა ჩასაფრებულ მზვერავებს წააწყდნენ. მოჰკლეს ერთი იაპონელი, ერთიც დაჭრილი ტყვეთ წამოიყვანეს. 20 აპრილს იაპონიის ცხენოსნებმა გამოილაშქრეს მანგოუსაკენ, შეავიწროვეს ჩვენი დარაჯები და დაიჭირეს სოფ. შახეზი.

პარიზი, 22 აპრილი. ჰავასი იუწყება 22 აპრილის თარიღით, როჟესტვენსკიმ მოხსენება გაგზავნა პეტერბურგში, იაპონიის გემები სატერიტორიო წყლებში არიან ბორნეოსთანო. თუ ეს ფაქტი სწორია, მაშინ რუსეთი პროტესტს განუცხადებს ნიდერლანდიის მთავრობას.

საიგონი, 22 აპრილი. (ჰავასი). რუსეთის ესკადრა, რომელიც 19 აპრილს ხონხოესთან იდგა ყურეში, აპირებდა მეორე დღეს გასულიყო იქიდან. როჟესტვენსკიმ ეს ამბავი აცნობა საფრანგეთს.

პარიზი, 22 აპრილი. (ჰავასი) იუწყებიან, რუსეთის მთავრობამ, კამრანის ამბების გამო, დაწვრილებით განუმარტა, როგორ უნდა დაიცვას საფრანგეთის ნეიტრალიტეტი. აქ არ აქცევენ ყურადღებას იაპონიისაგან განცხადებულ პროტესტს ნეიტრალიტეტის დარღვევის შესახებ.

ბელგრადი, 21 აპრილი. გაფიცულმა ხელოსნებმა დემონსტრაცია მოახდინეს გუშინ, სოციალისტების დაჭერის გამო. პოლიციამ განათავისუფლა დაჭერილები. გაფიცულება შემდეგს სიტყვებით მიესალმნენ მათ. „ძირს ჯარები, გაუმარჯოს რესპუბლიკას"-ო. სერიოზული შეტაკება არ მომხდარა.

ლოძი, 22 აპრილი. გუშინ ჯარმა ერთბაშად თოფები დაასხა კოსტელში მყოფ ხალხს, რამაც ჭედვა-ჭყლეტა გამოიწვია. ბოლოს 8 დაჭრილი აღმოჩნდა, რომელთაგან ხუთი კაცი მძიმეთ.

ადესა, 22 აპრილი. პოლიციამ და კაზაკებმა გაჰფანტეს გაფიცული მებულკეები, რომელნიც მომუშავე ამხანაგების გარეკას ცდილობდნენ. მუშების კამანდებისაგან წარდგენილი მოთხოვნები გადაეცა განსაკუთრებულ კომისიას, რომელიც შესდგება საზღვაოსნო საზოგადოებისა, საპორტო სამმართველოს მატროსთა და კაჩეგართა წარმომადგენელთაგან; უკანასკნელებს 12 კაცი ჰყავთ წარმომადგენლებათ.

პეტერბურგი, 22 აპრილი. მინისტრთა და სახელმწიფო საბჭოს დეპარტამენტთა თავმჯდომარეებისაგან შემდგარმა რჩევამ განიხილა საკითხი უმაღლეს სასწავლებელთა დახურვის შესახებ და, მივიდა რა იმ დასკვნამდე, რომ მიმდინარე ნახევარ წელში შეუძლებელია სწავლის განახლება, დაადგა შემდეგს აზრს: 1. ნუ მოხდება გადასასვლელი გამოცდები იმ სასწავლებლებში, სადაც სწავლა შეწყვეტილია, და სტუდენტები დატოვებულ უქმნან იმავე კურსებზე, რომლებზედაც ისინი ირიცხებიან; 2. ის დაწესებულებანი, რომელთაც მიზნად სტუდენტების დახმარება აქვთ—საერთო საცხოვრებელი სადგომები, სასადილოები და სხვა, რომელნიც ხსენებულ სასწავლებლებთან არსებობენ, დაიხურონ დროებით; 3. ხსენებულ სასწავლებლების სტუდენტებს არ გამოერთვათ სწავლის ფასი მიმდინარე წელს და, თუ უკვე გამორთმეული აქვთ, იმ შემთხვევაში უკან დაუბრუნდეთ, ან და წინდაწინ ჩაეთვალოთ შეტანილად; 4. თუ აქ დახურული სასწავლებლები შემოდგომაზე არ განაახლებდნენ მეცადინეობას, ან, თუ განაახლეს, ხელ-მეორედ დაარღვევენ სწავლის წესიერ მსვლელობას, მაშინ დაუყონებლივ დაიკეტოს სათანადო დაწესებულებათა უფროსების განკარგულებით, პროფესორები და სტუდენტები-კი დათხოვნილ იქმნან; 5. იმ დაწესებულებათა უფროსებმა, რომელნიც განაგებენ უმაღლეს სასწავლებლებს, შეიმუშაონ, თუ რა პირობებია საჭირო, რომ ცოტა დრო დაიხარჯოს იმ კურსების გასავლელად, რომელნიც წინა წელს დაიკარგნენ; შეადგინონ თავიანთი მოსაზრებანი იმის შესახებ, თუ როგორ გაუადვილდეთ ახალგაზრდებს უმაღლეს სასწავლებლებში შესვლა, განიხილონ საკითხი უკანასკნელ კურსების სტუდენტების გამოშვებისა და გამოცდების საქმის მოწყობისა იქ, სადაც ეს შესაძლებელი იქნება. ყველა ზემოხსენებული დასკვნები უმაღლესად დამტკიცებულია 16 აპრილს.

სიმფეროპოლი, 22 აპრილი. დღემ მშვიდობიანად ჩაიარა. მაღაზიები გააღეს.

ვარშავა, 22 აპრილი. გუშინ, დლუგის ქუჩაზე, იმ დროს, როცა უნდოდათ დაეჭირათ ვიღაც კაცი, რომელიც კუჩერების გაფიცვას სცდილობდა, სამასამდე კაცი დაეცა პატრულს და დაჭერილის წართმევა მოუნდომა. დაჭრილი არიან—ერთი ხიშტით, მეორე ტყვიით. სოციალისტების მოთხოვნით 18 აპრილს დახოცილების დასაფლავების გამო, დაკეტილი იყო მაღაზიები და ფაბრიკები; ჰფანტავდნენ კუჩრებს და არ უშვებდნენ ტრამვაის სამუშაოდ. თეატრები არ სწარმოებდნენ; გაზეთები არ გამოსულან; გუშინდელმა დღემ მშვიდობიანად ჩაიარა. საღამოთი გააღეს ზოგიერთი დუქნები. დაუბრუნდა მუშაობას კუჩრების ნაწილი. მთავრობისა და სახალხო თეატრში არც ხალხი იყო, არც არტისტები მოვიდნენ, ამიტომ წარმოდგენები არ იყო. გრიბოვის ქუჩაზე სწრაფი საექიმო დახმარება 7 კაცს აღმოუჩინეს. რკინის გზის სახელოსნოები გაფიცულნი არიან.

პეტერბურგი, 22 აპრილი. ლუდსა, დროჟსა და სპიჩკაზე გადასახადი 1 მაის შევა ძალაში; ამიერ-კავკასიასა, თურქესტანსა და ციმბირში-კი 15 მაისს. ვაჭრებს ნება ეძლევათ ივაჭრონ სპიჩკებით, რომელთაც ახლანდელი ბანდეროლი აკრავთ, მხოლოდ ორის კვირის განმავლობაში იმ დღიდან დაწყებული, რა დღესაც ძალაში შევა ზემოხსენებული განკარგულება.

კალიში, 22 აპრილი. ფაბრიკებმა განაახლეს მუშაობა ოთხი დღის გაფიცვის შემდეგ, რაც არეულობით იყო გამოწვეული. არ ისვენებენ და ყოველ დღე შეურაცხყოფას აყენებენ პატრულსა და ქვებს ესვრიან. იჭერენ ხალხს. დღესით სიმშვიდეა. გუშინ დაასაფლავეს წმ. გიოცეხის კოსტელში მოკლული ქალი; აურებელი ხალხი დაესწრო დასაფლავებას.

ჟურნალ-გაზეთებიდან

რუსისა და იაპონიის ფლოტის მოქმედება. ახალ დეპეშებიდან სჩანს, რომ ადმ. როჟესტვენსკის ესკადრა 19 აპრილს ხანკოუს ბუხტასთან მდგარა. ხანკოუ ანუ გონკოე ანამშია, კამრანის ბუხტიდან დაახლოვებით 90 ვერსტზე ჩრდილოეთით. იაპონიას კიდევ პროტესტი გამოუცხადებია საფრანგეთისათვის ნეიტრალიტეტის დარღვევაზე. რუსის ესკადრის მომეტებული ნაწილი ჩრდილოეთისაკენ წასულა და 21 აპრილს კუნძულ ხაინანის (ჩინეთის სამფლობელოა) სამხრეთით ლეონგ-სოის ბუხტაში მისულა. ხმა დადის, ბალტიის ესკადრას ჩინეთის ზღვაში ტაიფუნმა მოასწრო და რამდენიმე წვრილი გემი დააშორა ადმ. როჟესტვენსკის უმთავრეს გემებსაო.

ადმ. ნებოგატოვი ერთი კვირა მდგარა მალაკის სრუტეში, დაზიანებული გემები შეუკეთებია, ქვანახშირი დაუდვია, 22 აპრილს სინგაპურთან გაუვლია და ჩინეთის ზღვისაკენ წასულა. ნებაგატოვის ორი სატრანსპორტო გემი კუნძულ სუმატრის ნაპირას მისულა, ორსავ გემს შუბლი ჰქონია დაზიანებული.

იაპონიის სამხედრო გემები კუნძულ ბორნეოს ახლო უნახავთ. ალბად, ეს ადმ. დევას მოწინავე რაზმი იქნებოდა. იაპონელებს კარგად შეუსწავლიათ ახალ წყალქვეშ მავალ ნავების მოხმარება.

რა გავლენას იქონიებს ფლოტის მოქმედება ხმელეთის ჯარის მოქმედებაზე. ბევრნი ჰფიქრობენ, ადმ. როჟესტვენსკიმ რომ ზღვაზე გაიმარჯვოს, იაპონიის არმია მანჯურიაში დიდ განსაცდელში ჩავარდება და სამხედრო მოქმედებას ვეღარ შეიძლებსო. „რუსკია ვედომოსტი"-ს სამხედრო მიმომხილველი და ბევრნი სხვანი არ ეთანხმებიან ამ აზრს და ამტკიცებენ, რომ ფლოტის მოქმედება თითქმის არავითარ გავლენას არ იქონიებს ხმელეთის ჯარის მოქმედებაზეო. „რუსკია ვედომოსტი"-ს სამხედრო მიმომხილველი ბ-ნი ს. კ. სწერს: როგორც უნდა გათავდეს ადმ. ტოგოსა და ადმ. როჟესტვენსკის ბრძოლა, მაინც მიუტევებელი თავ-ქარიანობა იქნება ვიფიქროთ, რომ იქნება იაპონიის არმიას მისვლა-მოსვლა მოუსპოთ სამშობლოსთანაო და ამისთანა ტყუილ იმედზე დავაფუძნოთ სამხედრო კამპანიის პლანი. გინდ ადმ. როჟესტვენსკიმ ნამდვილადაც გაიმარჯვოს, მარშალ ოიამას თითქმის არაფერი არ გაუჭირდება. იაპონელები მეტად ფრთხილი ხალხია და ინკოუსა, დალნისა, ანდუნსა და ლიაოიანში დიდძალი საკვები და სამხედრო სურსათი დაამზადეს, სათადარიგო ჯარიც მანჯურიაში გადაიყვანეს, ასე რომ გინდ რუსის ფლოტმა თვეში ორი-სამის დღით (მეტის ხნით ვერ მოუჭრის) გზა მოუჭრას ხოლმე იაპონიის არმიას, ეს მაინც თითქმის არავითარ გავლენას არ იქონიებს ხმელეთის ჯარის მოქმედებაზე. წარსულ წლის ივლისის დამდეგსა და ნახევარში ვლადივასტოკის ესკადრა კორეის სრუტეში გაჩნდა და იაპონიის სამი სატრანსპორტო გემიც-კი ჩაძირა ერთ დღეს, მაგრამ ამ ამბავმა სრულებით ვერ შეუშალა ხელი იაპონიის არმიებს. პირიქით, იაპონელებმა თითქმის ამ დროს სამგან ძლიერ დაამარცხეს რუსის ჯარი: გენ. ნოგიმ 14—17 ივლისს იუპილაზა და მგლის გორები დაიჭირა და პორტ-არტურის გალავნამდე მივიდა, გენ. ნოძუმ 17 ივლისს სიმუჩენთან გენ. ზასულიჩი დაამარცხა, გენ. კუროკიმ სამის დღის ბრძოლაში, 17—19 ივლისს, იანცზელინთანა და ანპინთან გენ. კელერისა და გერშელმანის რაზმები დაამარცხა. ერთის სიტყვით, როგორც თეორეტიული მოსაზრება, ისე შარშანდელი გამოცდილება ბეჯითად ამტკიცებს, რომ მარშალმა ოიამამ მაგრად მოიკიდა ფეხი მანჯურიაში და ამიტომ ფლოტის მოქმედება თითქმის არავითარ გავლენას არ იქონიებს ჯარის მოქმედებაზე.

„ნოვოსტი დნია"-ს სამხედრო მიმომხილველი შარშანვე ამტკიცებდა, ბალტიის ესკადრა ვერაფერ დახმარებას ვერ გაუწევს რუსის ჯარსაო.

დროა თუ არა?

ავტონომიის მოწინააღმდეგეთ, გარდა იმ ორიოდე საბუთისა, რომელნიც ამ დღეებში დაარღვიეს ჩემმა თანამოკალმეებმა „ცნ. ფურცელში", მოჰყავთ კიდევ ერთი მოსაზრება: ამ ჟამად დრო არ არის ავტონომიაზე ლაპარაკისა, და, საერთოდ, არც ერთ ეროვნულ მოთხოვნაზედ არ უნდა დავსძრათ კრინტიო. ამის დასამტკიცებლად ის მოსაზრება მოჰყავთ, ვითომ ეროვნული მოთხოვნანი ხელს შეუშლიან რუსეთის დღევანდელ საერთო განმათავისუფლებელ მოძრაობას; ეხლა მთელის რუსეთის ხალხი მოითხოვს დამფუძნებელ კრების მოწვევას და ყველამ ამ მოთხოვნას უნდა დავუჭიროთ მხარი, არ შევასუსტოთ იგი სხვა მოთხოვნა—საჭიროებათა აღნიშვნითაო; ხოლო შემდეგ, როცა რუსეთის მოწინავე ელემენტების ყველა მოთხოვნა დაკმაყოფილებული იქნება, დრო დადგება ეროვნულ საჭიროებაზე ლაპარაკისაო.

ჩვენის აზრით, ვინც ამას ლაპარაკობს, მას არ ესმის აზრი და შინაარსი თვით იმ განმათავისუფლებელ მოძრაობისა, რომელიც რუსეთში სწარმოებს ახლა, და ამასთანავე სავსებით ვერ გაუგია დღევანდელ ისტორიულ მომენტის მნიშვნელობა.

დღევანდელმა ისტორიულმა მომენტმა რუსეთში წინ წამოაყენა ორი დიდი საკითხი: პოლიტიკური და სოციალური. გამოირკვა, რომ დღევანდელს პირობებში

დარჩენა აღარ შეიძლება, რომ ცხოვრება გაიზარდა და ვიწრო კალაპოტში ველარ დარჩება. ამასთანავე გამოირკვა, რომ ცხოვრების ხალ მოთხოვნათა განსახორციელებლად ძველს სახელმწიფო წეს-წყობილებას ძალა აღარ შესწევს, რომ სწორედ ბიუროკრატიის მზრუნველობამ გაამწვავა საქმეები და მათი მოწესრიგება მხოლოდ თვით ხალხს შეუძლია; თვით ხალხმა უნდა შექმნას ახალი გარეგანი ფორმები ცხოვრებისა, რომელთა ფარგალში უფრო სამართლიანად და სავსებით დაკმაყოფილდება მისი ნივთიერი და სულიერი საჭიროებანი და მასთან უკეთესი პირობები დამყარდება ხალხის მომავალ იდეალისათვის სამუშაოდ. რა-კი ეს გამოირკვა, ყველა სხვა საკითხმა ადგილი დაუთმო პოლიტიკას, ყველაფერი მეტი შეიქნა და მხოლოდ ერთი საჭირ-ბოროტო საგანი გაჩნდა: რუსეთის სახელმწიფოს მოწყობა (устроеніе); ეს შეიქნა შინაარსად განმათავისუფლებელ მოძრაობისა და ეს დაედვა საფუძვლად დღევანდელ პოლიტიკურ ბრძოლას. დამფუძნებელი კრება მოწვეულ უნდა იქნას ახალ სახელმწიფოს ფორმების მოსაწყობად, ახალ **ძირითად კანონების** შესაქმნელად. ძირითად კანონებმა, რომელთაც სახელმწიფო უფლება კონსტიტუციას უწოდებს, უნდა შექმნან ახალი ფორმები სახელმწიფოს მართვა-გამგეობისა, მთავრობისა და მოქალაქეთა უფლება-ვალდებულობისა, მათ ურთიერთობისა და სხვა. უეჭველია, ამ ძირითად კანონებშივე უნდა იქნას აღნიშნული ეროვნებათა უფლება, ასე თუ ისე უნდა გადაწყდეს ეროვნული საკითხი.

ვამბობთ „უეჭველია“, იმიტომ რომ რუსეთში მრავალი სხვა და სხვა ერი ცხოვრობს და იმიტომ რომ აწინდელმა სახელმწიფო წეს-წყობილებამ ამ მხრივაც აწეწ-დაწეწა საქმე და გამოიჩინა სრული თავისი გაკოტრება. დამფუძნებელი კრება გვერდს ვერ აუხვევს ამ მძიმე საკითხს და თავის პოლიტიკურ საგანს ვერ შეზღუდავს მარტო მართვა-გამგეობის საქმის რეორგანიზაციით. საუკეთესო მაგალითს იმისას, თუ რა მოჰყვება ამ საკითხის გადაფუჩეჩებას, გვიჩვენებს დღევანდელი ავსტრ-ჰუნგრეთი. ამ სახელმწიფოს ძირითად კანონებში (კონსტიტუციაში) არის მუხლები, რომლებით წესრიგდება ეროვნული საკითხი, მაგრამ იმდენად ვიწროდ, სუსტად და უფერულად, რომ ერთა ბრძოლამ დაასუსტა ერთ ჟამს ძლიერი ჰაბსბურგების იმპერია და ლამის სულ დაანგრიოს. რუსეთის იმპერიის დამფუძნებელმა კრებამ არ უნდა გაიმეოროს ავსტრიის შეცდომა და სავსებით, გარკვევით და ნათლად უნდა აღნიშნოს ეროვნული საკითხი, მოაწესრიგოს ერთა ურთიერთობა და ერთა დამოკიდებულება სახელმწიფოსაგან. უამისოდ ძნელია და შეუძლებელიც, ნამდვილად დამშვიდდეს სახელმწიფო, ნორმალურს კალაპოტში ჩასდგეს რუსეთის ხალხთა ცხოვრება.

ეს კარგად ესმისთ ყველა იმ დარბაისელ და გულწრფელ რუს მწერალსა და სახელმწიფო მოღვაწეს, რომელნიც იღვწიან ამ ჟამად ახალ სახელმწიფო წესწყობილება—კანონების შესამუშავებლად: არც ერთი მათგანი გვერდს არ უხვევს ეროვნულ საკითხებს და ძირითად მნიშვნელობას აძლევს მრავალტომიან სახელმწიფოს ისეთ მოწყობას, რომელმაც უნდა დააკმაყოფილოს დღემდე დაჩაგრული და დაჯაბნებული ერები. სხვა მაგალითებს არ გამოვუდგებით და აღვნიშნავთ, რომ სრულიად რუსეთის ჟურნალისტების კრებამ სწორედ ეროვნული საკითხი აღიარა მთავარ საკითხად და წამოაყენა მოთხოვნა რუსეთის ეროვნებათა ავტონომიებისა. რუსი ჟურნალისტები არ დააშინა იმ გარემოებამ, რომ ასეთი მოთხოვნა შეასუსტებს საერთო განმათავისუფლებელ მოძრაობას; ეს მხოლოდ ჩვენ არა მკითხე და ფუქსავატ პოლიტიკოსებს აშინებს...

ახლა ვნახოთ, რა მნიშვნელობის ხანა დაუდგა ამ ჟამად რუსეთის იმპერიის არარუს ერებს.

სომხების პეტიცია

იმ დროს, როცა ქართველი ერი კიდით-კიდემდე ამოძრავებული იყო, როცა საქართველოს ყოველ კუთხიდან გაისმა გაბედული ხმა უკმაყოფილებისა, სომხის ერის ნაწილი, ამიერ-კავკასიაში მცხოვრები, სდუმდა და ეს დუმილი მით უფრო შესამჩნევი იყო ყველასათვის, რომ ირგვლივ მღელვარება იყო გამეფებული, მღელვარება აშკარა, დაუფარავი.

ყველა გაკვირვებული იყო ასეთ დუმილისა და სიწყნარის გამო, ყველა ჰკითხულობდა, ნუ თუ მთელი ენერგია ამ ნიჭიერ ხალხისა დაიხარჯა იმ ბრძოლაში, რომელიც მას დასჭირდა სომხურ საეკლესიო მამულების წართმევის გამო?

რასაკვირველია, ასეთი ეჭვი საფუძვლიანად ვერ ჩაითვლება. ალბად, იქაც იყო მოძრაობა და მუშაობა, მაგრამ ჩვენთვის უჩინარი და შეუმჩნეველი; ალბად, იქაც მუშაობდა ხალხის გონება და ირკვევდა თავის საჭირ-ბოროტო საკითხებს; მხოლოდ ეს საჯაროდ და აშკარად არ ხდებოდა.

დღეს დუმილი დაირღვა და გაზეთებში გამოცხადდა „ამიერ კავკასიის სომეხთა პეტიცია“; „ამიერ კავკასიის სომხობა“-მ ამცნო ყველას, რა სწყურიან მას დღეს, რა რეფორმები მიაჩნია საჭიროდ თავის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად.

„სომხობა“ გვერდს ვერ აუხვევდა, რასაკვირველია, დღევანდელ დღის მთავარ საჭირ-ბოროტო საქმეს —რუსეთის იმპერიის დამფუძნებელ კრების მოწვევას საყოველთაო საარჩევნო უფლების საფუძველზე; უამისოთ არც რუსებს, არც რუსეთში მცხოვრებ სხვა ერებს არა ეშველებათ რა.

მაგრამ ისიც უნდა ვიცოდეთ, რომ მარტო ეს დამფუძნებელი კრება და მომავალი ცენტრალური პარლამენტი წამალს ვერ დასდებს არა-რუსთა სატკივრებს. საჭიროა სხვა დაწესებულებანიც, რომ ერის ბუნებრივი განვითარება თავისუფლად სწარმოებდეს.

„სომხობა“-ს ასეთ დაწესებულებად მიაჩნია უწოდებრივო ერობა: ა. პატარა საერობო ერთეული (სოფლის თვითმმართველობა), ბ. სამაზრო ერობა ქალაქების გამოყოფით და გ. კავკასიის საერთო საერობო კრება საკანონმდებლო ინიციატივით და იმ უფლებით, რომ კავკასიის შესახები კანონები წინად ამ საერობო კრებაზე იქმნენ განხილული.

პატარა საერობო ერთეული, სამაზრო ერობა ძალიან კარგი დაწესებულებანია, მაგრამ რა დაუშავა „სომხობას“ საგუბერნიო ერობამ, რად გამორიცხეს იგი თავიანთ პეტიციიდან?

რასაკვირველია, მხოლოდ იმიტომ, რომ გარდა ერთის გუბერნიისა სომხობა მთელს ამიერ-კავკასიაში ყველგან უმცირესობას შეადგენს. ეს საბუთი, შეიძლება, სომხებისთვის პატივსადები იყოს, მაგრამ დიდი უმრავლესობა ამიერ-კავკასიელებისა კი ეგრე ვერ იფიქრებს. გარდა ამისა, რას ნიშნავს ერობა „ვრცელ საფუძვლებზე“? თუ რუსეთის დამფუძნებელ კრების მოწვევაზე რომ ლაპარაკობენ, პირდაპირ არის დასახელებული, „საყოველთაო საარჩევნო უფლება, ფარული, ყველასათვის თანასწორი და პირდაპირი“, რატომ საერობო არჩევნებშედაც არ არის იგივე ნათქვამი? ორჭოფობა ასეთ დროსა და ასეთ საქმეში ყოვლად შეუწყნარებელია.

საგუბერნიო ერობა არა სურს „სომხობას“, სამაგიეროდ კავკასიის „საერთო საერობო კრებას“ თხოულობენ. რისთვის ან რა საბუთით?

ადვილი გასაგებია ასეთ „საერობო კრების“ მოთხოვნა, როცა ეს კრება ნამდვილად უფლება მოსილია, როცა იგი საკანონმდებლო დაწესებულებაა, და არა მხოლოდ სათათბირო, როგორც ეს სომხობას სურს. საკანონმდებლო ინიციატივა და უფლება იმ კანონების განხილვისა, რომელთა მიღების თუ არ-მიღების უფლება ცენტრალურ დაწესებულებას ექნება, იმასა ჰგავს, რასაც რუსეთის თავად-აზნაურობის მარშლები თხოულობენ.

ცხადია, რომ კავკასიის ცენტრალური საკანონმდებლო დაწესებულებაც ვერ დააკმაყოფილებს კავკასიის ერებს; მას შეუძლია მხოლოდ საერთო კავკასიურ საქმეების გაძღოლა რაც შეეხება თითეულ ერის შინაურ საქმეებს, ამისათვის საკუთარი ეროვნული დაწესებულებაა აუცილებელი, ეროვნულ საქმეებში სრულის უფლებით მოსილი. როგორც პეტიციიდან სჩანს, სომხობისათვის ასეთი ეროვნული დაწესებულება სასურველი არ ყოფილა. ან იქნება იმას ჰფიქრობენ, რომ თავისუფალი სომხური ეკლესია გაუწევსთ იმ დაწესებულების მაგიერობას? მართალია, სომხურ ეკლესიას დიდი ღვაწლი მიუძღვის სომხის ერის წინაშე, მაგრამ ჩვენ ვერ წარმოგვიდგენია პროგრესიული ეროვნული პოლიტიკა ეკლესიასთან ხელი-ხელ ჩაკიდებული.

პეტიციის სხვა მოთხოვნები მეტად ზომიერია: პირველ-დაწყებით სკოლებში სომხურად იქნეს სწავლა და უფრო მაღალ სასწავლებლებში უნდა ასწავლიდნენ სომხის სამღვთო სჯულს, სომხურ ენას, ლიტერატურას და ისტორიასა. ვერ გაგვიგია ასეთი ზომიერება: იმას ვერ დავწამებთ პეტიციის თანამგრძნობთ, რომ არ სურდეთ მაღალ სკოლებშიაც სომხურად ასწავლიდნენ საგნებს. მაშ რატომ არის, რომ მხოლოდ დაბალ სკოლებში თხოულობენ სომხურად სწავლებას? ან იქნება აქაც სასულიერო სემინარიებით კმაყოფილდებიან?

ყოველ-შემთხვევაში ეს მათი შინაური საქმეა. მაგრამ სომხების შინაური საქმე არ არის პეტიციის მეჩვიდმეტე და მეთვრამეტე მუხლი, განსაკუთრებით მეთვრამეტე.

მეჩვიდმეტე მუხლი თხოულობს, რომ ნაკლებ-მიწაწყლიან და უმიწაწყლო გლეხებს უპირატესობა ჰქონდეთ თავისუფალ სახაზინო ადგილებზე დასახლების საქმეში. მოთხოვნა კანონიერია, მაგრამ მეტად ზოგადი და გაურკვეველია, თუ მხედველობაში მივიღებთ ამიერ-კავკასიის მრავალხალხოსნობას. სად უნდა დასახლონ ქართველი უმიწაწყლო გლეხები?. სასიამოვნო და სასარგებლო იქნება სომხობისათვის, რომ იმერლობა, მაგალითად, ეჩმიაძინის მაზრაში დაუსახლონ? არა მგონი. ამიტომ წინდაწინვე დაყოფილი უნდა იქნეს ტერიტორია ხალხებ შორის, იმის მიხედვით, თუ რომელი ხალხი სად უფრო ბინადარია. პეტიციის მეთვრამეტე მუხლი ეხება ოსმალეთიდან გადმოსახლებულ სომხობას: ვინც რუსეთის ქვეშევრდომობა მიიღო, ნადელები მიეცეს ამიერ-კავკასიის საზღვრებშიო. შესაბრალისნი არიან ოსმალეთიდან გადმოხვეწილნი, მათ დახმარება და გაჭირვების შემსუბუქება ეჭირვებათ, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ამიერ-კავკასიაში სხვა ხალხები სცხოვრობენ, ამათაც ეჭირვებათ მიწა-ადგილები და უსამართლობა იქნებოდა ამათი ინტერესები არ მივიღოთ მხედველობაში; უსამართლობა იქნებოდა ოსმალეთიდან გადმოსახლებულ სომხების დასახლება, მაგალითად, ქუთაისისა და ტფილისის გუბერნიებში, სადაც ასე გაჭირვებულია ქართველი გლეხობა უმიწაწყლობით. რაც შეეხება სხვა გუბერნიებს, იქ მაჰმადიანობას უნდა ეკითხოს. პეტიციის მეთვრამეტე მუხლი რომ დღეს დაკანონდეს, ოსმალეთიდან გადმოსახლებულთა რიცხვი ხელვე გაათკეცდება და რაღა უნდა ჰქნას ადგილობრივმა მკვიდრმა?

არ უნდა დაივიწყონ ჩვენმა მეზობლებმა, რომ სხვის უბედურებაზე ვერ აშენდება ვისიმე კეთილდღეობა.

არის ერთი მუხლი პეტიციაში, რომელიც პირდაპირ ქართველებს ეხება: კავკასიაში სომეხ-კათოლიკეთა ეპარქია უნდა დაარსდეს სომეხ ეპისკოპოსითო. (ცხადია, პეტიციის შემდგენელთ არა სწამთ ქართველ კათოლიკეთა არსებობა.

დასასრულ არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ პეტიციის ნამდვილ ბურჟუაზული ხასიათი. მეცამეტე მუხლი თხოულობს პროგრესიულ გადასახადს შემოსავალზე და არა პირდაპირ გადასახადების მოსპობას მხოლოდ უპირველეს საჭიროების საგნებზე.

ერთი საინტერესო მუხლია (16) კიდევ პეტიციაში: ნება მიეცეს კერძო საკრედიტო დაწესებულებათ ოპერაციები მოახდინონ საგლეხო მიწების გამოყიდვისათვისო, ე. ი. ტფილისის საკრედიტო დაწესებულებებმა „ოპერაციებით“ ხელში უნდა ჩაიგდონ სოფელი და პირი იქით უქნან, საითაც მოისურვებენ.

ეს არის „ამიერ-კავკასიის სომეხთა“ მოთხოვნანი და სურვილები.

არ გვგონია, რომ პეტიციის შემდგენელნი სომხის ერის ნამდვილ ინტერესების გამომთქმელნი იყვნენ. ჩვენ ვფიქრობთ, რომ სომხის ერის მშრომელი ნაწილი, ე. ი. დიდი უმრავლესობა, სხვა გზას ადგია, სხვა მიმართულებას ემსახურება, სხვა საშუალებას ხმარობს ამ მიმართულების განსახორციელებლად და არა „პეტიციას“, და ეს გარემოებაა, რომ იმედს გვაძლევს შეთანხმებულად ვიმოქმედოთ იმ უმრავლესობასთან.

გურია

დრო იცვლება, დრო წარმავალია, მაგრამ ისეთის სისწრაფით დროს შეცვლა და გადასხვაფერება, როგორც გურიაში, რ ლაც უნებლიეთ გაკვირვებს. [illegible] საკმაოა ოდნავ დაუკვირდე [illegible] წა სული წლები, დღესასწაულები და შე რო მდგომარე წელს და დღესასწაულ რომ დიდი უშველებელი უფსკრული, გა სხვავება დაინახო.

ავიღოთ თუ გინდ შარშანდელი აღდგ მა. რომელ სოფლის ეკლესიაზე გახვი დი, რომელ დიდ სოფლის საზოგადო მი დორზე გაივლიდი, რომ მკვირცხლ ახა გაზდებს, ქალს და კაცს არ ნახავდით სა დღესასწაულოდ მორთულ-მოკაზმულს... ყვე ლა ხარობდა, დროს ატარებდა, ვაჟებ ბურთს თამაშობდნენ, ახალგაზდა ქალებ თავიანთ წრეს აკეთებდნენ და გაზაფხულ პეპელასავით დაჰქროდნენ. ვისაც რა გა ჭირვება ჰქონოდა, რაც უნდა ღარიბ ყოფილიყო, ამ დღისათვის მაინც ახალ ტ ნისამოსით იმოსებოდა, ყოველგვარ გაჭირ ვება-სიღარიბეს ივიწყებდა, აღდგომას სიხ რულით და აღტაცებით ეგებებოდა. დღეს კი სულ სხვასა ვხედავთ. წელს მაინც, თი თქოს ბუნებამაც თანაუგრძნო ადამიან დარდ-ვარამსო, იმანაც მოიწყინა, პირ შეიკრა, მოიღუშა და თითქმის ისე გაია აღდგომის უქმეებმა, რომ მზე ერთხელაც კი არ დაგვენახავს. გაზაფხული ზამთარ სუსხიან სიცივე-წვიმაზე შეიცვალა. იქნებ უამინდობას დააბრალოთ საზოგადო ცრ ტარების შეცვლა. მაგრამ არა: ერთხე გაცივებულ გურულის გულს თავის ცრი მლე ვერავითარი მზე ვერ გაათბობს. წინა თუ სმა-ჭამა და ქეიფი იყო ყოველ ფეხ გადადგმაზე, წელს ისე დაივლით მთელ სოფელს, რომ ძნელად შეხვდებით მთვრალს შექეიფიანებულს. თუ სადმე თავ-ყრილობა შეხვდით, მინდორსა, თუ სახლში, ყველგა საზოგადო საქმეზე გაიგონებთ სჯა-ბაასს ვის სამედიატორო სამართლით ასამარ თლებენ, ვის საქციელს უკიცხავენ, ვის და ნაშაულობის ჩადენისათვის შესაფერ სა ჯელს უსჯიან და სხვა...

მეტადრე ეხლა-ხან მცხოვრებთა ყურა ღება მიიქცია საყანე მიწის ურთ-ერთ შ რის თანასწორად გაყოფამ. როგორც მ გეხსენებათ, **გურიაში უმუშევარ მუქთ მჭამელ კაცს ალაგი არა აქვს.** ყველა ვ ლდებულია, ახალის დადგენილების ძალი იმუშაოს და თავი ისე ირჩინოს. ამის გამ მიწის დაყოფაში ცოტა უკმაყოფილებ დაიბადა. ყველამ იქ მოინდომა საყანე მ წის აღება, რომელიც პირველ ხარისხ გამოდგა. ამისათვის თავიანთ შორის აირ ჩიეს მართალი და მიუდგომელი პირებ რომელთაც თანასწორად უნდა აძლევდ ყველას მიწა, ვისაც საყანე მიწა ცოტა აქვ

ჰო, იმას ვამბობდი—შარშანდელი სოფ ლის სურათი წრევანდელს აღარა ჰგავ მეთქი. ან კი როგორ უნდა ჰგავდეს, როც ადამიანს დღით-დღე სხვადასხვა ჭირ-ვ რამი ემატება და გული ბოლომდი ევსებ ყველგან გაჭირვება, ყველგან სიკვდილ ტირილი და ვაება. დღეს ერთ მიწის-შვილ მოასვენებენ სახლში, რომელსამე ქალაქშ უდანაშაულოდ გულ-განგმირულს, დღე მამის მარჩენალ იმედს, ახალგაზრდა ვაჟ კაცს, ხვალ—მეორეს, ზეგ—მესამეს. ზოგ სახლში ულუკმაპუროზით ეხოცება წვრ ლი ცოლშვილი. ამას დაუმატე საზოგად საშინელი კრიზისი ანუ ქესატობა, რო გორც გურულები ეძახიან, და მიიღებ

ფელეტონი

სამხედრო სამსახური შვეიცარიაში

ყველასათვის ჭეშმარიტებას შეადგენს, რომ ყოველგვარი ნაყოფიერი შრომა, გონებრივი იქნება იგი თუ ფიზიკური, დამამშვენებელი, ამამაღლებელი და დამახასიათებელი მხარეა როგორც კერძო, ისე საზოგადოებრივ ცხოვრებისა და მოაქვს სარგებლობა საზოგადოებისთვის. ცხადია აქედან, რომ ყოველგვარი სამსახური, საზოგადოებრივი თუნდ სახელმწიფო, მცხოვრებთა თვალში უნდა თავმოსაწონ მოქმედებად ითვლებოდეს, უნდა მიაჩნდეთ სავალდებულოდ. მაგრამ როდესაც ადამიანი დაუკვირდება მრავალფეროვან ცხოვრებას, აშკარად შეამჩნევს და დარწმუნდება, რომ ეს ყოველთვის ასე არ არის. მაგ. ფიზიკურ შრომას ჩვენში, აგრეთვე ევროპაშიაც, ბევრი უყურებს უძველეს დროის ბერძენთა და რომაელთა თვალით.

ამას დავანებოთ თავი. არის ბევრი სამსახური, რომელიც ერთის შეხედვით საზოგადოებასათვის სასარგებლო მოქმედებას წარმოადგენს, კარგადაც აჯილდოვებს, მაგრამ ამ სამსახურს გაურბიან, რადგან იგი ეწინააღმდეგება იმათ სვინდისს, შეხედულებას, მიმართულებას. სჩანს, როდესაც შრომა-სამსახურს შევხედავთ, როგორც განყენებულ მცნებას, მაშინ ყველას თვალში ერთი და იგივე მნიშვნელობა აქვს; როდესაც გავშინჯავთ კონკრეტიულად, დავუპირდაპირებთ საზოგადოებრივ ცხოვრებას, პირობებს—შეხედულება სხვავდება. სხვავდება და იცვლება ცხოვრების პირობების ცვლილებასთან ერთად. ყოველ საზოგადოებრივ კლასს, ყოველ წოდებას თავისი განსხვავებული შეხედულება აქვს ამა თუ იმ მოვლენაზე, აქვს თავისი განსაზღვრული მოვალეობა, ერთი მეორის წინააღმდეგი.

შეხედულებათა ამგვარი განსხვავება, შეტაკება იმალება თვით ამ კლასთა და ეკონომიურ და პოლიტიკურ მდგომარეობის განსხვავებაში. მოსპეთ კლასთა სოციალური განსხვავება და მოისპობა განსხვავება იმათის შეხედულებისა საერთო მოვალეობაზე, საერთო საქმეზე, სამსახურზე და სხვა. გააერთეთ პოლიტიკური პირობები და ხალხსაც გაუერთგვარდება შეხედულება, მაგალითად, სამხედრო სამსახურზე, როგორც საერთო, საეროვნო საქმეზე, რადგან სამხედრო სამსახური მარტო მაშინ ასრულებს თავის ნამდვილ დანიშნულებას, ესე იგი დაიცავს საერთო ინტერესს მთელის ხალხისას, კლასთა განურჩევლად. მაშინ თვით ხალხი დაუწყებს ცქერას ამ სამსახურს, ამ შრომას ერთის თვალით, მისცემს საერთო მნიშვნელობას, ჩასთვლის კიდევაც თავის მოვალეობად ამ მხრივ გაუწიოს სამსახური სამშობლოს, თავის ქვეყანას, რადგან კარგად ეცოდინება, რომ ამ სამსახურის აზრი გამოიხატება სახელმწიფო სიმთელისა და მცხოვრებთა ვინაობის მარტო დაცვაში გარეშე მტრებისაგან და არა იმაში, რომ ეს სამხედრო ძალა გამხდარა იარაღად შიგნით გაბატონებულ რომელისამე კლასის ხელში უიმისოდაც დამონავებულ მშრომელ ხალხის დასამონავებლად და უცხო ხალხის ან სახელმწიფოს დასამცირებლად. აშკარაა, ამ შემთხვევაში ხალხი და მისი მოკეთენი სხვანაირად დაუწყებენ ცქერას სამხედრო საქმეს და თუ, ამის მიუხედავად, მაინც აასრულებენ ამ სამსახურს, მარტო ძალდატანებით.

აბა შეხედეთ რა საერთო სიყვარულით არიან განმსჭვალულნი შვეიცარელები სამხედრო სამსახურისადმი! რა მიზეზია? ის, რაც ზემოდ აღვნიშნეთ: შვეიცარიაში სამხედრო საქმეს ერთად-ერთი დანიშნულება აქვს—დაიცვას განურჩევლად მთელის ხალხის ინტერესები. შვეიცარელები პოლიტიკურად გაერთიანებულნი არიან; შვეიცარიის ხალხი არა სცდილობს გახდეს პირველ ხარისხოვან სახელმწიფოდ; არ ეძებს და არ იცავს საერთაშორისო სამრეწველო ბაზრებს სამხედრო ძალით. სწორედ ამიტომ იქ საჭიროდ არ მიაჩნიათ ყოლა მუდმივ შეიარაღებულ ჯარისა. ამასთან ისიც მიიღეთ მხედველობაში, რომ ეხლახან შვეიცარელებმა განიძრახეს შეიტანონ კონსტიტუციაში მუხლი, რომლის ძალითაც აკრძალული იქნება ჩარევა სამხედრო ძალით ხალხის მოძრაობას, გამოწვეულისა მუშათა გაფიცვით, და მაშინ ადვილად წარმოიდგენთ, რად უყურებს შვეიცარელი სიყვარულის თვალით სამხედრო სამსახურს, რათა სთვლის სერიოზ სავალდებულო საქმედ, რადა სცდილობს შეისწავლოს იგი საკმარისად, რომ გამოიყენოს მაშინ, როდესაც სამშობლო ჩავარდება განსაცდელში გარეშე მტრებისაგან.

ამ ერთად ერთ დანიშნულების მიხედვით სამხედრო საქმე შვეიცარიაში ისეა მოწყობილი, დაყენებული, რომ არც ბევრს დროს აკარგვინებს მცხოვრებთ და არც აზარალებს. პირიქით, სარგებლობასაც მოაქვს (ამას ქვემოდ დავინახავთ) ფიზიკურად და ზნეობრივადაც, ამასთან ისე გაადვილებულია, რომ სასიამოვნოდ მიაჩნიათ ამ სამსახურში ყოფნა.

როდესაც შვეიცარელი სრულდება 20 წლისა, თითონ მიდის იმავე კანტონის სამხედრო დაწესებულებაში, რომლის მცხოვრებიც არის. კომისია, რომელიც შესდგება რამდენიმე წარმომადგენლისაგან—ზოგი იმავე კანტონისა, ზოგი ფედერაციისა—შინჯავს ახალგაზდას და [illegible] სამსახურისთვის (სამწუხაროდ მიაჩნია ახალგაზდას სამსახურისაგან განთავისუფლება: ამით მტკიცდება იმისი უვარგისობა, გამოუსადეგრობა სამშობლოსთვის), ჯერ ჰკითხავენ, სად მოისურვებს სამსახურს (ქვეითა ჯარში, ცხენოსანში თუ არტილერიაში), და მერე გაამწესებენ არა თუ იმავე კანტონში, არამედ იმავე ოლქში, სადაც თვითონ სცხოვრობს. როგორც ხედავთ, სალდათი ასრულებს სამხედრო სამსახურს თავის მოძმეთა შორის და არა შორს სადმე, როგორც სხვა სახელმწიფოებშია. 45—60 დღე—აი ის ვადა, რომლის განმავლობაშიაც სავსებით სწავლობს შვეიცარელი სალდათი სამხედრო საქმეს. ამავე საქმეს გერმანიასა, საფრანგეთსა, რუსეთში და სხვაგან ანდომებენ სამს და ოთხს წელიწადს. ერთის შეხედვით, ძალიან მოკლე დროა ორმოცი და სამოცი დღე, მაგრამ როდესაც წარმოიდგენთ, რომ შვეიცარიაში ძალიან მაღლა სდგას საყოველთაო განათლება, ხალხის თვით-ცნობიერება, საერთო გამოფხიზლება, განვითარება, ამასთან მოწაფეთა გიმნასტიკის შესწავლა პატარაობიდანვე სკოლებში ახალგაზდათა მიზანში სროლით ვარჯიშობა (ყოველ ოჯახში იპოვება თოფი), ამას თუ გაითვალისწინებთ, მაშინ ზემოდ აღნიშნული დრო აღარ გეჩვენებათ მოკლე ხანად, რადგან ჯარში შედის განვითარებული და დახელოვნებული ახალგაზდობა. ამ ორმოცს, სამოც დღეს არა ჰკარგავენ უბრალოდ პარადებზე, ასწავლიან იმას, რაც საჭიროა. სამხედრო საქმე რომ კარგად აქვთ შესწავლილი შვეიცარელებს, სჩანს იმათ აღლუმებიდან, რომელთაც დასწრებიან სხვა ქვეყნის მცოდნე პირები და დარწმუნებულან ამაში.

ახალგაზრდა სალდათს აძლევს უფასოდ ტანისამოსი და მთელი შეიარაღება, ამასთან თუ კავალერისტი ან არტილერისტია—ცხენიც. ეს ცხენი იმის საკუთრებას შეადგენს, უჭენია თავის სახლში, თვითონ ინახავს, სამაგიეროდ ამუშავებს ოჯახში მაშინაც, როდესაც შესრულებს სამსახურის ვადას. მხოლოდ ორ წელ წადში ერთხელ, როდესაც იბარებენ სწავლ გასამეორებლად, მოვალეა თავის ცხენით მო დეს. ამიტომ კავალერიაში შედის გლეხ-კაც უმეტესობა. ამათთვის დიდად საჭიროა უფასო მიღებული ძვირფასი ცხენი.

როგორც ვთქვით, შვეიცარელს ვადის შე რულების შემდეგ ორ წელიწადში ერთხელ იბ რებენ სწავლის განსამეორებლად. უნდა დავუ მატოთ, რომ 12 წლის განმავლობაში იბარ ბენ მარტო 16 დღით. ამ თორმეტის წლი შემდეგ გადადის სათადარიგო ჯარში (ზაპასში) 12 წლის განმავლობაში კიდევ იბარებე სწავლის განსამეორებლად მხოლოდ ოთხ დღით; ეს იმდენად ადვილი პირობებია, რო ყოველი შვეიცარელი სიამოვნებით მიდის სამ სახურის ასასრულებლად. ყოველ შვეიცარელ თვით სალდათსაც, შეუძლიან გახდეს აფიცრა მხოლოდ უნდა გამოსცადონ, რისთვისაც გან საზღვრული კურსია დაწესებული. ეს-კი შვე ცარელს არ გაუძნელდება.

მუდმივ სამხედრო სამსახურში იმყოფება მარტ ოდი აფიცერი, ასისი ინსტრუქტორი, რომ ლნიც ასწავლიან ახლად მოსულ სალდათებ რვა პოლკოვნიკია, ამათ სათითაოდ აბარია დივიზია. შვეიცარიაში უმაღლესი ჩინი პოლკ ვნიკია. გენერალი ინიშნება მაშინ, როდეს ომი ასტყდება. *).

აბა, ამგვარად დაყენებულ სამხედრო საქმე რომელი შვეიცარელი ჩასთვლის თავის სინ დისის საწინააღმდეგო საქმედ, რომელი აღ დენს განკებ სამსახურს? აქ არცა ხდება ამ გვარი საქმეები.

კ. ანდრ—შვილი.

---

*) ყველა ეს ცნობები ამოღებულია ჟურნა „Правда“-დან.

ყოველ-დღიური გაზეთი „ცნობის ფურცელი“ ადგილობრივ და გაგზავნით ღირს: 1 წლით 6 მან., 11 თვით 5 მან. 75 კაპ. 10 თვით 5 მან. 20 კაპ., 9 თვით 5 მ., 8 თვით 4 მ. 50 კაპ., 7 თვით 4 მან. 6 თვით 3 მ. 50 კ., 5 თვით 3 მან., 4 თვით 2 მ. 60 კ., 3 თვით 2 მან., 2 თვით 1 მ. 50 კ. ხელის მოწერა მიიღება ყოველ თვის პირველ რიცხვიდან. გაზეთის გაწერა ერთ თვეზე ნაკლებ არ შეიძლება და არა მეტი წლის ბოლომდის.

ხელის მომწერთ, რომელთაცა ჰსურთ რაიმე ცნობა მიიღონ კანტორიდან ხელის მოწერის შესახებ ან ფულს გზავნიან რედაქციაში, ან ადრესს იცვლიან, „ცნობის-ფურცლის“ კანტორა უმორჩილესად სთხოვს მათ გამოუგზავნონ ბანდეროლი ან მოიტანონ ის ნომერი, რომელიც ადრესზეა დაბეჭდილი.

როცა ვინმე იწერება ადრესის გამოცვლას, მასთანვე ძველი ადრესი და გამოსაცვლელი 40 კაპ. უნდა გამოუგზავნოს რედაქციას. ადრესის გამოსაცვლელი 40 კაპ. შეიძლება ფოსტის მარკებათ გამოგზავნოს.

ცალკე ნომერი გაზეთისა ყოველგან ღირს 3 კაპ. სურათებიანის დამატებით—5 კაპ.

გულის დამღონებელ, დამაფიქრებელ სურათს. შარშან თუ გლეხს ახალ ტანსაცმელით ჰყავდა შემოსილი ცოლშვილი, წელს პერანგის ძველი ნაფლეთები ძლივს უფარავს სიცივისაგან გალურჯებულ კანს. შარშან თუ წითელი კოჭით შეღებილი პასკა უმშვენებდა ღარიბულ სუფრას, წელს მჭადი მონატრებია.

აღდგომის მეორე დღეს ს. ძიმითში ვ. კილაძემ მოჰკლა ცხენით მიმავალი ამავე სოფლის შვილი გ. ხელაძე და მკლავი მიასტეხა ძმასთან მიმავალ დას. მკვლელი გაიქცა. საქმე ასე ყოფილა: ს. სილოურში მცხოვრებ ვ. კილაძემ ამ სამი თვის წინად სხვების დახმარებით გრიგოლ ხელაძეს მოსტაცა 18 წლის დაი და მღვდელს ძალად ჯვარი დააწერინა. ხელაძის მეზობლები ძალიან აღელვა ასეთმა ძალადობამ, შეიკრიბნენ და წავიდნენ ვ. კილაძისას ქალის უკანვე წამოსაყვანად და საქმის რიგიანად მოსაწესრიგებლად. როცა კილაძისას მივიდნენ, ნახეს, რომ ახალ ჯვარ დაწერილები და მათი სტუმრები ქეიფობდნენ. რომ რამე უკმაყოფილება არ მომხდარიყო და ხისხლი არ დაღვრილიყო, ქალის წასაყვანად მოსულმა ნათესავებმა და მეზობლებმა დილამდის დაიცადეს და სახლს არ მოშორდნენ. ხოლო დილას-კი სახლში შევიდნენ და როგორც სიძეს, ისე იმის მხლებლებს პასუხი მოსთხოვეს. აგრეთვე გამოიხმეს ქალი და გამოჰკითხეს: კილაძეს თავის სურვილით გამოჰყვა თუ ძალათ დაითანხმეს ჯვრის წერაზე.

ქალმა განაცხადა: მე კილაძე არა მსურდა ქმრად, ძალა დამატანეს, მითხრეს: თუ უარს იტყვი, შენც მოგკლავთ, შენს მშობლებსაც და ოჯახსაც ერთიანად გადაგიწვავთო. ამის შემდეგ ვარჩიე ჯვარის წერის დროს უარი არ მეთქვაო. მეზობლებმა უპასუხეს—ეს არაფერი, ჯვარი რომ დაგწერეს, შენ გვითხარი, თუ არ გსურს, და ჩვენი საქმე იყოსო. მაგრამ ქალმა უარი სთქვა—რაც იყო, იყო, რაკი ჯვარი დავიწერე, აწი აღარ ღირს უარის თქმა, იქნება უარესი ხიფათი შეგვემთხვესო.

მიუხედავად ამისა სოფლის მეთაურების შეთანხმებით კილაძეს დაავალეს ქალი მშობლებისათვის გაეტანებინა და მერე წამოეყვანა იქიდან ჩვეულებრივად, ხოლო ძალმომრეობისათვის კილაძის მხლებლები დასაჯეს მცირე ზნეობრივ სასჯელით და ზოგს ბოდიში მოახდევინეს. მაგრამ წარმოიდგინეთ გაკვირვება, როცა ქალი დედმამის სახლში მოიყვანეს, რალაც მოსაზრებით ქალმა ცივი უარი სთქვა: მე რაკი ჩემს სახლში მშვიდობიანად მოვედი, იმ კაცს ცოლად არ გავყვები, ვინც ხმლით მაშინებს და ძალად უნდა ჩემი ცოლობაო. ასე და ამგვარად ჯვარდაწერილი კაცი უცოლოდ დარჩა. ამ საქმის მოსაწესრიგებლად ბევრი კაცი დაიღალა, მაგრამ ვერაფერი გააწყო. აღდგომის წინა დღეებში ხელაძეს კიდევ დაეცა კილაძე ქალის მოსატაცებლად, მაგრამ ქალი ვერ ნახეს. ამის შემდეგ მშობლებმა გადასწყვიტეს, ქალი სადმე ნათესავისას გადაემალათ და ის იყო აღდგომის მეორე დღეს მიდიოდა კიდეც ძმასთან ერთად, რომ გზაში ჩასაფრებულმა კილაძემ მოჰკლა ცოლის ძმა გრიგოლ ხელაძე და დასჭრა მკლავში ძალად ჯვარდაწერილი.

ამ გარემოებამ მთელი მახლობელი საზოგადოება აღელვა და აალაპარაკა. არ იციან, როგორ გათავდება ეს დაუსრულებელი სამწუხარო დრამა. **სილია.**

ოფიციალური ცნობა

(„კავკაზ“ № 102)

ტფილისის გაზეთებს „ივერია“-სა და „ტელეფონ“-ში დაბეჭდილია ცნობა იმის შესახებ, რომ 30 მარტს ქუთაისში, ქალაქის განაპირას, ერთ დუქანში, სადაც ყაზახი-რუსები ქეიფობდნენ, შევიდა ვიღაც უბრალოდ ჩაცმული კაცი და მოითხოვა ღვინო; შემდეგ, გასტუმრების დროს, მედუქნეს გადასცა ას მანეთიანი; ყაზახები მივარდნენ, გამოსტაცეს ფული. მერე უცნობმა გაიხადა ზევითა ჩოხა, და გაოცებულმა ყაზახმა რუსებმა დაინახეს ქუთაისის დროებით გენერალ-გუბერნატორი თავ. ჯამბაკურ-ორბელიანი.

ეს ცნობა მხოლოდ გულუბრყვილო გამოგონებაა მთავრობის საწინააღმდეგო მოძრაობის აგიტატორებისა, რომელთაც უნდათ ხალხის თვალში სახელი გაუტეხონ რუსის ჯარს, განსაკუთრებით ყაზახ-რუსებს, რომელთა მარჯვე მოქმედება, მხნეობა და სხვა კარგი თვისება ხელსაყრელი არ არის ხალხის ამრევთა და ამჯანყებელთათვის.

ესენი ყოველ საშუალებით სცდილობენ ხელ-ფეხ შემკვრელ ჯარის უკანვე დაბრუნებას და ეს ჭორიც ერთი საშუალებაა ამ მიზნის მისაღწევად.

იმ გაზეთებს, რომელთაც ხსენებული ამბავი დაბეჭდეს, წინადადება ეძლევათ, მოათავსონ ეს განმარტებაც.

ახალი ამბავი

✦ გზათა მინისტრმა დაუგზავნა **ცირკულიარი სახაზინო და კერძო რკინის გზათა უფროსებს.** ასეთი ცირკულიარი მიიღო ამიერ-კავკასიის რკინის გზის უფროსმაც. იგი შეეხება უკანასკნელ გაფიცვებს და მოსამსახურე-მუშათა მიერ წარდგენილ მოთხოვნილებებს. თავში ნათქვამია, რომ მოსამსახურენი და მუშები უკანონოდ მოიქცნენ, როდესაც მუშაობას თავი გაანებეს და მოთხოვნილებანი წარუდგინესო. მოთხოვნილებების და პეტიციების განხილვის დროს სამინისტროს ზოგის შეწყნარება შეუძლებლად უცვნია, ამიტომ უარ-უყვია; ასეთი მოთხოვნილებაა, მაგალითად, მოწყობა საარჩევნო ორგანიზაციისა, რომელმაც უნდა განაგოს მუშათა მიღებისა, დათხოვნისა და გადაყენების საქმეები. სხვა შუამდგომლობები თუმცა მისაღებია, მაგრამ, სამინისტროს აზრით, საკანონმდებლო წესით უნდა გადასწყდეს. დასასრულ, უმთავრესი ნაწილი შუამდგომლობებისა შეეხება მუშა-მოსამსახურეთა ქონებრივ მდგომარეობის გაუმჯობესებას. სამინისტროს შეუძლებლად უცვნია ყველა ამ მოთხოვნილებების დაკმაყოფილება, რადგან ამას დიდძალი ფული დასჭირდებაო. გადაუწყვეტიათ მხოლოდ გაუმჯობესება იმ მდაბალ მოსამსახურეთა მდგომარეობისა, რომელნიც სატახტო და დიდ ქალაქებში არიან, რადგან ასეთ ქალაქებში ცხოვრება ძვირდაო. ყველა ამას გარდა, როგორც ცირკულიარიდან სჩანს, სამინისტროს საკანონმდებლო წესით გადასაწყვეტათ შეაქვს: 1. პროექტი მოსამსახურეთა საზოგადო მდგომარეობის შესახებ. ეს პროექტი ეხება სამსახურის პირობების და ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესებას, მოსამსახურეთა უფლებებსა და მოვალეობებს; 2. პროექტი სადისციპლინო წესდებისა; 3. პროექტი დებულებისა მუშაობისა და შესვენების შესახებ და სხვა. ზემოხსენებული ცირკულიარი დაურიგდა რკინის გზის ყველა მოსამსახურეს.

✦ გაზეთ „პეტ ვედ.“-ის 95 ნომერში დაბეჭდილია წერილი—„**ქართველები და რუსული რეჟიმი კავკასიაში**“. სათაური დიდია, მაგრამ შინაარსი კი სრულიად არაფერი: ქართველ თავადიშვილებს დიდ ადგილებს არ აძლევენო, ქართველი თავადიშვილი—„რაინდი და სტუმართ-მოყვარე“—გაღარიბდა, მთავრობის დაუხმარებლად წელში ვერ გასწორდება და უნდა დავეხმაროთო. თურმე ეს ყოფილა „ქართველები და რუსული რეჟიმი“.

✦ **ტფილისის ტრამვაის** მეთვალყურე კომისიამ საჭიროდ სცნო უსახელო საზოგადოების დაჯარიმება მიმოსვლის შეჩერების გამო. კომისიის აზრით, კონდუქტორებისა და ვატმანების გაფიცვა ფორსმაჟორს არ შეადგენს. მოსამსახურეებსა და საზოგადოებას შორის რომ რაიმე ხელ-შეკრულება იყოს, მაშინ უსახელო საზოგადოება პასუხის მგებელი არ იქნებოდა. ეხლა-კი გაიფიცნენ დღიური მომუშავენი. კომისიამ საზოგადოების მოქმედება ამ საქმეში ხელშეკრულების დარღვევად აღიარა. ხელ-შეკრულების თანახმად, დღე-ღამეში უსახელო საზოგადოებამ ჯარიმად უნდა გადაიხადოს ტრამვაის ყოველ შტოზე 200 მან. სულ უსახელო საზოგადოებას აქვს 9 შტო, ასე რომ დღე-ღამეში კომისიის დადგენილებით საზოგადოება იხდის 1800 მან. სულ 10 დღეში 24 აპრილამდე 18,000 მან.

✦ **ტფილისის ტრამვაის დირექციამ** გამოაცხადა, თუ გაფიცული მოსამსახურენი ხვალ, 25 აპრილისათვის, არ გამოცხადდებიან, სამსახურიდან გამორიცხულ იქმნებიანო.

✦ კარაკლისს და შაგალს შუა, რკინის გზის მე-131 ვერსზე, 23 აპრილს ღამის 2 საათზე, საქონლის **მატარებელი № 133 დაეჯახა ჩამოწოლილ კლდეს.** გადავარდა ორთქლ-მავალი და ნავთის ცისტერნები. მოკლულია ერთი უფროსი კონდუქტორი და ორიც ტორმოზის კონდუქტორი. გზა შეიკრა.

✦ ამიერ-კავკასიაში 100.000-მდე **ბერძენი ცხოვრობს.** ბერძენთა ინტელიგენციის ერთმა წრემ დაადგინა, მოახდინოს ტფილისში საზოგადო კრება ბერძენთა დეპუტატებისა. კრებამ უნდა მოილაპარაკოს ბერძნების საჭიროებათა შესახებ.

✦ ტფილისის სასულიერო **სემინარიის ძველი შენობა** პუშკინის ქუჩაზე, როგორც კანონიერ საბუთებიდან სჩანს, ეკუთვნოდა ქართლ-კახეთის ქართულს საეკლესიო ხაზინას, 1840 წელს სამღვდელოებას უყიდნია ეს შენობა ამ ხაზინის დახმარებით 82,000 მანეთად. ამ საბუთების ძალით, სამღვდელოების წარმომადგენლებს სურთ სთხოვონ მთავრობას, რომ სამღვდელოება ცნობილ იქმნას შენობის მესაკუთრედ. უწმ. სინოდი აპირობდა შენობის გაყიდვას, როგორც თავის საკუთრებისას.

✦ 27 აპრილისათვის დანიშნულია ტფილისის მაზრის **თავად-აზნაურთა კერძო თათბირი.** თათბირი მოხდება დეპუტატთა საკრებულოში, 12 საათზე. უნდა განიხილონ თავიანთი ეკონომიური საჭიროებანი.

✦ შუამდგომლობებია აღძრული **ბათუმში ახალ გაზეთების გამოცემის შესახებ.** ქ-ნი ნ. პ. გურსკაია თხოულობს, ნება მიეცეს გამოსცეს ყოველ-დღიური გაზეთი „ბათუმ“-ი, ხოლო ბ-ნი ი. ლ. სანდეცკი—ყოველ დღიურივე „ბატუმსკი ლისტოკი“.

✦ მკითხველებმა უკვე იციან, რომ **ჭიათურაში ჯარი სდგას.** სხვათა შორის, ჯარი სადგურსაც იცავს და სცხოვრობს ვაგონებში. როგორც იქიდან გვატყობინებენ, რკინის გზის მოსამსახურეებს უთხოვნიათ, ჯარი სადგურზე მოშორებით დააბანაკეთო.

✦ ქართლ-კახეთის საეპარქიო **სამრევლო-საეკლესიო სკოლებში** პირველი მაისამდე დამთავრდება სწავლა და ეგზამენები.

✦ **საყურადღებო სტატისტიკა.** ტფილისის სასულიერო სემინარიაში 1902 წლის მაისის გასულს იყო სულ 149 მოწაფე, ამათგან ქართველი—83; კურსი დაამთავრა 25, ამათგან ქართველი იყო—11; 1903 წელს—მთელს სემინარიაში ითვლებოდა—148 მოწაფე; ქართველი—89, კურსი დაამთავრა—23 მოწაფემ, ამათში ქართველი იყო—12. 1904 წ. 146 მოწაფე, ქართველი იყო 76. კურსი დაამთავრა 31 მოწაფემ, ამათში ქართველი—13 იყო. 1905 წ. ტფილისის სემინარიიდან დაითხოვეს არეულობაში მონაწილეობისათვის 121 ქართველი მოწაფე. დარჩა კიდევ 56 მოწაფე, ამათში 11 ქართველია მთელს სემინარიაში. მეექვსე კლასში არავინაა ქართველი. წელს კურსს ამთავრებს—12 მოწაფე არა ქართველი. ამ რიგად 1902—1905 წ. წ. სემინარიაში ირიცხებოდა სულ—499 მოწაფე. ამათში ქართველი—259,—ამავე წლებში კურსი დაამთავრა სულ—91 მოწაფემ, ამათში ქართველია მხოლოდ—36. სასულიერო აკადემიაში სემინარიის მთავრობამ გაგზავნა ამ ოთხის წლის განმავლობაში მხოლოდ ერთი ქართველი. წელს-კი აკადემიაში ბერძენს ჰგზავნის.

✦ **ამიერ-კავკასის რკინის გზაზედ** ყველა დიდრონ სადგურიდან, სადაც დიდი შტატია კონდუქტორებისა, სხვა-და-სხვა სადგურებზე დროებით ჰგზავნიდნენ ხოლმე მოსამსახურეებს მეისრეების, გადამბმელების და მატარებელთა შემდგენელების მაგივრად. ახლა მიმოსვლის უფროსმა განკარგულება მოახდინა, რომ ამ გვარი დროებით გაგზავნა მოისპოს ახალ განკარგულებამდის.

✦ 23 აპრილს დასრულდა **ლაქიების და მზარეულების გაფიცვა.** ამ დღიდან ყველამ განაახლა მუშაობა.

✦ **ტყიბული.** 14 აპრილს ნაქერალაზე გაძარცვეს სახლში მიმავალი რაჭველები. 15 აპრილს ტყიბულაში თავი მოიყარეს რაჭველმა მგზავრებმა და ტყიბულის ბოქაულს სთხოვეს საერთო დარაჯის გაყოლება, მაგრამ ბოქაულმა უარი უთხრა.

✦ **შინდისი** (გორის მაზრა). შინდისში არსებობს თავად-აზნაურების პურის მაღაზია. მაღაზიით სარგებლობდნენ გაჭირებული როგორც აზნაურები, ისე გაჭირვებული გლეხები. ეხლა ამხანაგობას აზრი გამოუცვლია და განუცხადებია ამორჩეულ პირისათვის, რომ ეგ პური ან უნდა გავყოთ და ან სულ მონაწილეზედ (აზნაურებზე) გაიცეს; გარეშე პირს ნუღარ მისცემთო. ამის გამო ერთ მაღაზიონერს ამხანაგობისთვის განუცხადებია, რომ გამანთავისუფლეთ თანამდებობიდან, რადგან მაგის ასრულება არ შემიძლიანო.

✦ გუშინ, 23 აპრილს, დილით, ჩუღურეთში ვიღაცამ ხმა გაავრცელა, ვითომ ქ-ნი ნადიროვისა თავის მამულის (არსენალის შოსსეს პირად, კავკასიის მსროლელთა ბატალიონის კაზარმების მახლობლად) ცარიელ ადგილებს მუქთად ურიგებდეს ღარიბ-ღატაკ, უსახლ-კარო ხალხს. ხალხმაც, დიდმა თუ პატარამ, ქალმა თუ კაცმა, წერაქვებით ხელში მიიზომეს, ვისაც რამდენი საჟენი უნდოდა, და დამიჯნეს: ზოგმა 20, ზოგმა—30, 40, 50, 60, 80 და მეტი საჟენი. ახლა აღარ იციან, მართალია თუ არა ეს ხმა და კარგი იქნება თვით ქ-ნმა ნადიროვისამ გაზეთის საშუალებით ან პირადად გამოაცხადოს რაშია საქმე. ადგილები მიიზომეს როგორც ჩუღურეთლებმა, ისე ავლაბრელებმა. მიიზომეს მახათას გორაზედაც, გაშლილ მინდორზედ.

✦ კნ. ე. ბაგრატიონ-მუხრანსკაია გვთხოვს დავბეჭდოთ: „ცნობის ფურცლის“ მე-2801 ნომერში დაბეჭდილია, ვითომ იჯარადარმა ნიჟარაძემ გლეხების მოთხოვნილებით გაანება თავი კნ. მუხრანსკის მამულსაო. ნიჟარაძემ ჩემის თანხმობით აიღო ხელი იჯარადრობაზე და არა გლეხების მოთხოვნილებით.“

✦ ხვალ, 25 აპრილისთვის, ტფილისის საბჭოს დარბაზში, დილის 10 საათზედ, დანიშნულია კრება ტფილისის მხატვრებისა თავიანთ გაჭირვებაზე მოსალაპარაკებლად.

✦ რედაქციამ მიიღო შემდეგი ახალი წიგნები: 1. „ცხოვრება და სიყვარული“, თანამდროვე რომანი, შედგენილი გიორგი ჩარხიშვილის მიერ. წიგნს ავტორის სურათიც აქვს ჩართული. ფასი 50 კაპ. 2. „სანთური“, ნათარგმნი ლექსები თომა კარგარეთლისა, ფასი ორი შაური.

✦ სად. გორი. 22 აპრილს, შუადღის 2 საათზე მანევრების დროს ორთქლმავალის ქვეშ ჩავარდა ვაგონების დამთვალიერებელი ივანე მაკასაროვი და მარჯვენ ფეხი მოსტყდა. დაშავებული ტფილისის რკინის გზის საავადმყოფოში გაგზავნეს.

✦ სად. სანაინი. 23 აპრილს, ღამის 2 საათზედ, როდესაც საქონლის მატარებელი № 313 დაიძრა, ვიღაცამ ესროლა რევოლვერი უფროს კონდუქტორს ბართლომე უდალოვს.

✦ როგორც ოსიაურიდან (ქართლი) გვატყობინებენ, 18 აპრილს, ნაშუადღევის პირველ საათზე, ვიღაცებს ცეცხლი წაუკიდებიათ პავლე ამბაროვის საწვრიმალო დუქნისთვის. გადამწვარა ოთხი თვალი დუქანი, ბოსელი და სხვა. ზარალს პატრონი ოთხას თუმანს ანგარიშობს.

✦ 22 აპრილს, საღამოს 10½ საათზედ, დიდ ხევის ქუჩის დასახვევში რაჭის მცხოვრებს დიმიტრი ი. დარახველიძეს ბებუთით მოუკლავს ჯიბგირი ვინმე „მილა“, რომლის გვარი არ იციან. მკვლელი დააპატიმრეს, ხოლო მოკლულის გვამი გაგზავნეს მიხეილის სამკურნალოში.

✦ 22 აპრილს, ნავთლუღში, პოლიციის მე-7 ნაწილში მტკვრის პირად ნახეს გვამი ახალციხის მოქალაქის ილექსანდრე ბეთანოვისა.

✦ სოფელ კობნისის რუსთა მონასტრიდან ამას წინად წაუღიათ 400 მანეთის ნივთები. ბერის სკუფია და რამდენიმე გადაგდებული ნივთი მეორე დღეს ვაშლოვანისაკენ მიმავალ გზაზე უნახავთ.

დურგლების კრება

დურგალთა კრება მოხდა გუშინ, 23 აპრილს, ტფ. საბჭოს დარბაზში ხოჯაევის თავმჯდომარეობით. დაესწრო 500-მდე კაცი. პირველად შეუდგნენ სამუშაო დროს მოწესრიგებას და მიიღეს წინადადება 8 საათის სამუშაოს დაწესების შესახებ. შემდეგ დაადგინეს მოისპოს საიჯარო საქმეების აღება, ისე რომ თითო დურგალს ერთი საქმის მეტი არ ჰქონდეს აღებული; ვიდრე მას არ შეასრულებს და არ ჩააბარებს პატრონს, მეორე საქმის კეთებას არ შეუდგეს. უქმეების წინ მუშაობა 2 საათით ადრე უნდა შესწყდეს. თუ ხელოსანმა იარაღი სამუშაოზე მიიტანა და დამქირავებლის მიზეზით მუშაობას მოსცდა, ქირა სრულიად უნდა მიიღოს. თუ თითონ გახდა მიზეზი მუშაობის გადადებისა, მაშინ მოქირავეს ხელ-ფასს ვეღარ მოსთხოვს. ამ შემთხვევებში სადაო საქმის გარჩევა არჩეულ კაცებს მიენდობა. კრებამ საჭიროდ სცნო ბიუროს დაარსება. ბიურო უნდა დააარსოს ქალაქმა. დაადგინეს აგრეთვე მოსთხოვონ მთავრობას მუშათა დაზღვევა. ძალიან ბევრი მოხვდა ამქრის უსტაბაშს და სახელოსნო გამგეობის ხელოსნებს. ხოჯაევმა განაცხადა, უსტაბაშმა მატინოვმა 600 მან. დასტოვა დურგალთა სასარგებლოდ. ეს ფული არჩეულ უსტაბაშს გადაეცა და არ ვიცით, ეხლა სად არისო. კრებამ უსარგებლოდ სცნო სახელოსნო გამგეობა და ხელოსანთა მოურავის თანამდებობა დამ მოითხოვა ამქრულ ორგანიზაციის მოსპობა. დაადგინეს, ამიერიდან ბოიკოტი გამოუცხადოთ ჩვენს უსტაბაშებს და ყველა იმათ, ვინც სახელოსნო გამგეობით სარგებლობს; ამიერიდან არც სალამი მივცეთ, აღარ მივიღოთ ჭირსა და ლხინში; გამოვრიცხოთ ჩვენის წრიდან ყველა დურგალი, რომელიც ამ ჩვენს დადგენილებას არ შეასრულებსო. თავმჯდომარის შემდეგ ილაპარაკა ერთმა მუშამ, რომელმაც სთქვა უსტაბაშზე: ამქარი მოვიწვიეთ ივანე ბერიშვილის დასაფლავებაზე. საწყალ ოჯახს სამარხი ფული არა ჰქონდა და ამქრის მეთაურებმა კი 50 მანეთი გადაახდევინეს. აქედან 30 მან. ცხენების ქირსა და ბზეს მოანდომეს, ხოლო დანარჩენი თვითონ შესჭამესო. მეორე ხელოსანმა სთქვა: ჩემის დამქირავებლისაგან 18 თუმანი უნდა მიმეღო. საქმის გასარიგებლად მოვიწვიე უსტაბაში, რომელმაც სამი მანეთი გადამახდევინა, თანაც ერთი დედალი და რამდენიმე ხელადა ღვინო დამჭირდა იმის გასამასპინძლებლად. როცა მოწინააღმდეგეს დამიპირდაპირა ჩემმა მოსამართლემ, ოთხი მანეთი მე გადამახდევინა კიდევ გასამრჯელო და ოთხი მანეთი ჩემს მოპირდაპირეს. შემდეგ მიგვიწვიეს სახელოსნო სამმართველოში აქ უსტაბაშმა ჩვენს მბრძანებლებს სომხურად რაღაც ჩაულაპარაკა. მე სომხური არ ვიცი და რას გავიგებდი. შემდეგ ქართულად გამომიცხადეს განაჩენი. უსტაბაშმა ჩემს მოქირავეს ხელი დაჰკრა ბეჭზე და უთხრა, არა უშავს რა, კარგი ბიჭია (ჩემზე), მიეცი 40 მანეთი და ერთი ხალათიც შეუკერეო. მე სასამართლოში კოწიაწის თავი სად მაქვს და რაღას ვიზამდი 18 თუმანში 4 თუმანს უნდა დავჯერებოდი. როცა ამოიღეს და 4 თუმანს მაძლევდნენ, უსტაბაშმა სამი მანეთი კიდევ აიღო და ჯიბეში ჩაიდოო. ბევრი სხვა რამეცა სთქვეს ხელოსანთა მოურავს რაფაელოვზე. კრებამ ტაშის ცემით მიიღო წინადადება სახელოსნო გამგეობის გაუქმებისა, ბოიკოტის გამოცხადებისა და ამქრულ ორგანიზაციის მოსპობის შესახებ.

შემდეგ კრებამ სავალდებულო სწავლების შესახებ 16 წლამდე და სამშობლო ენის შესახებ მიიღო ისეთი დადგენილება, როგორც კალატოზების კრებამ. კრებამ დაადგინა აგრეთვე მოისპოს წოდებრივი უფლებანი; მოითხოვა თავისუფლება გაფიცვისა, კრებისა, კავშირისა, წერისა და სხვა.

წერილი რედაქციის მიმართ

I

„არ მომკვდარა, მხოლოდ სძინავს და ისევე გაიღვიძებს“... სრულდება წინასწარმეტყველება პოეტისა. იღვიძებს ნამდვილად! ხელახლა იბადება, გამოდის ძველის კანისაგან..- ხალხის ცხოვრებაში ეს დიდებული წამია და, თუ ამ წამის დაბადებას აქა-იქ ტკივილი მოჰყვა,—ეს ბუნებრივია; თუ რამ უწესოება მოხდა აქა-იქ,—ეს [illegible] შეცდომაა, ანუ კერძო საქმეა, რომელსაც [illegible] არა აქვს საზოგადო მოძრაობასთან; ამისთვის არ შეგვიძლიან უარ-ვყოთ იგი. ვისაც სიცოცხლის ძალა უკვე მოუკრებია და გამოდის თვითმოქმედების და ბუნებრივის განვითარების გზაზე, უარყოფა მისი საერო საქმის მომაკვდინებელი იქნება და ეს ღმერთმა გვაშოროს ქართველ ტომის შთამომავლობას. ამისთანა დროს სანუგეშოდ მიგვაჩნია ბ-ნ ვას. ნეს. ალშიბაიას და თ-დის მეშნი კ. დადიანის სიტყვები, რომელნიც ემუდარებიან სამეგრელოს თავად-აზნაურთ: შეუერთდეთ გლეხების შეგნებულს მოძრაობას, მივცეთ მათ შეღავათი; გვერდით ამოვუდგეთ ხალხს, ერთად ვარჩიოთ, ერთად ვიფიქროთ, ერთად ვიმოქმედოთ, რომ მოძრაობას საუკეთო მსვლელობა მიეცეს და არ გავხდეთ მიზეზი განხეთქილებისა და სისხლის ღვრისა. გლეხებთან ერთად მოვითხოვოთ სამართალი და წეს-რიგი, რომელიც აუცილებლად საჭიროა ხალხის თვით-მოქმედებისათვის, მისის დღეგრძელობისა და თვითარსებობისთვისაო.

ჩვენ, ერევანში მცხოვრები ქართველები, ჩვენს ღრმა თანაგრძნობას და გულწრფელ პატივისცემას ვუცხადებთ თ-დს მ. კ. დადიანს და ბ-ნ ვას. ნეს. ალშიბაიას და მათს ყველა თანამოაზრეთ. ხოლო იმ ზომას, რომელიც დაასახელეს ზოგიერთ ვაჟბატონებმა,—თოფ-ზარბაზნის ჭექა-გრიალს და ხიშტების ტრიალს ჩვენის ხალხის, ჩვენის სისხლისა და ხორცის წინააღმდეგ,—ვგმობთ და აღვიარებთ მას, როგორც ფრიად სასირცხოს და მავნებელს მთელის ქართველობისათვის.

თ. სოლომონ მიქელაძე, თ. ვასილი ფავლენიშვილი, ეფ. ი. ქიქინაძისა, ა. ბ. ქიქინაძე, ი. მიქელაძისა, ვ. ჩხეიძე, ელ. ჩხეიძისა, ბ. ჩხეიძისა, ილ. ქავთარაძე, ლუკა გოგავა, მღვდელი დ. ვარდიაშვილი, აკაკი ჩაჩიბაია, დათ. სურგულაძე, გიორგი სიხარულიძე, თევდორე ქარცივაძე, ივლითი სიხარულიძე, მ. სარაჯიშვილი, მ. სარაჯიშვილისა, თ. სვიმონ მაჩაბელი, კატო მაჩაბელი, მი. ბადრიძე, კონსტანტინე ოდიშარია, ი. ზედგინიძე, ა. ზედგინიძისა, დ. არონიშიძე, ა. არონიშიძისა, ა. ფურცელაძე, ა. ფურცელაძისა, კიკნაძე, ოლღა ქაიხოსროს ასული ფაშვიშვილისა, მიხაკო გიორგაძე, თ. ი. ერისთავი, ივანე ძვაძვალეძე ფიფია, გრ. ოქროპირიძე, ვ. ქუთელია, კ. თარაშვილი, თ. გვარაგია, ილია რაზმაძე, გ. ფხაკაძე, ვ. კოვზირიძე, ი. ღობრაძე, ლ. კეკელია, ს. კასრაძე, აბო საყვარელიძე, გიორგი როსტომაშვილი, ოლღა როსტომაშვილისა, ამბრიასი ხოშტარია, გ. ს. ზედგინიძე, თიკო ბურჭულაძისა, გ. ბურჭულაძე *).

II

პატარა ჯგუფი აბასტუმანში მყოფ ქართველებისა უერთდება იმ ქართველებს, რომელთაც თქვენის პატივცემულ გაზეთის საშუალებით უკმაყოფილება გამოუცხადეს „მათრახის მომხრე თავად-აზნაურებს“ ვლადიმირ კოსტას ძეს ალშიბაიას, თ. ვ. აფაქიძეს და სხვა იმათ მომხრეთ. ჩვენი თანაგრძნობა იმათ, ვინც ამ გლეხთა მოძრაობის საქმეში სულ სხვას ქადაგებენ და სხვანაირად მოქმედებენ.

ისიდორე გეგელაშვილი, მიხეილ მურვანიშვილი, იაკობ ლემურაშვილი, ვასილ კობახიძე, კოწია წვერავა, ჯაფარიძე, გაბრიელ შანშიაშვილი, ბარბარე მურვანიშვილი, ე. სვანიძე, პოლიკარპე ნაფეტვარიძე.

III

ბატონო რედაქტორო!

დიდის სიამოვნებით ვუერთებ ჩემ ხმას ქართველ აფიცრების ჯგუფს, რომელთა წერილიც მოთავსებული იყო „ცნობის ფურცელში“. ოღონდ ჩემის მხრით იმას დავუმატებ, რომ ხშირია ყველა ერის ისტორიაში და აგრეთვე ჩვენს წარსულ ცხოვრებაშიც ყოფილა, რომ ერთს ან ორ მოღალატეს თავის კერძო ინტერესების დასაცველად საერთო საქმე წაეხდინოს. მაგრამ ეხლა ისეთი დრო აღარ არის და არც ბ-ნი ვ. კ. ალშიბაია და აფაქიძე ბრძანდებიან ისეთი შესანიშნავი და ძლიერი პირნი. ამის გამო მარტო სიძულვილით უნდა დავუხვდეთ იმათ სიტყვებს და იმათ სანატრელს, რომ მოძმის სისხლში აგონ თავიანთი კეთილდღეობა.

ქართველი აფიცერი რუსის ჯარისა.

ღამის დეპეშები

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან“.

23 აპრილი

ტოკიო, 23 აპრილი („რეიტ.“) მცხოვრებლების ყურადღება დამყარებულია რუსეთის ესკადრის საფრანგეთის წყლებში დგომაზე. საფრანგეთის განმარტებას დაუჯერეს, მაგრამ, როცა დამტკიცდა, რომ რუსეთის ესკადრა კამრანში რჩებაო და შემდეგ საფრანგეთის სხვა პორტებში შევიდა, ამ ამბავმა საერთო საყვედური გამოიწვია. პრესა საფრანგეთს ფიცის გატეხას სდებს ბრალად.

პარიზი, 22 აპრილი. დელკასეს მახლობელი მოხელე არღვევს „მატენ“-ის ცნობას, ვითომც იაპონიის ელჩს გაეფრთხილებინოს დელკასე, იაპონიას განზრახვა აქვს განაახლოს პროტესტი ნეიტრალიტეტის დარღვევის შესახებაო.

ლიუბეკი, 23 აპრილი. (ვოლფი) მთავრობამ წინააღმდეგობა გაუწია კილში აშენებულ ნაღმოსნის წაღებას რუსეთში; ეს ნაღმოსანი დანაწილებული მიიტანეს ლიუბეკში და უნდოდათ ფინლიანდიის ორთქლმავალ გემით ჰელსინგფორსში გაეგზავნათ; მთავრობამ თავი იმით იმართლა, რომ ეს ნეიტრალიტეტის დარღვევა იქმნებოდაო.

ბერლინი, 23 აპრილი. „ბერლინერ-ტაგებლატ“-ის ცნობებით, იაპონიის წარმომადგენელს უთქვამს კინსოლტაში, რკინის გზის შესახებ ვამართულ საერთაშორისო კონგრესზე, იაპონიას განზრახვა აქვს სისრულეში მოიყვანოს ვრცელი პლანი რკინის გზების აგების შესახებ. გზების სამოძრაო ნაწილისთვის საჭირო მასალის მეტი წილი შეერთებულ შტატებს შეეკვეთება; ამ საქმეს არ გადასდებს იაპონია,

---

*) სულ 50 კაცს უწერია ხელი.

მიუხედავათ ომისა, ვინაიდგან ბრწყინვალე მდგომარეობაშია იაპონიის ფინანსებიო.

მოსკოვი, 22 აპრილი. გამოქვეყნდა მოსკოვის მონარქიულ პარტიის პროგრამა. მისი მიზანია—ხელი შეუწყოს შინაურ არეულობის მოსპობას. როცა უზენაესი მართებლობა გაიმარჯვებს არეულობაზე და სასახელოთ გაათავებს ომს, მაშინ დადგება დრო რეფორმებისა, რათა უფრო განმტკიცებულ იქმნას თვით-მპყრობელობა, გაძლიერდეს მართლ-მადიდებელი ეკკლესია და თავისუფლად განვითარდეს ნაციონალური კულტურული იდეა სახელმწიფოს მთელ სივრცეზე.

პეტერბურგი, 22 აპრილი. სამხედრო სასწავლებლების მოსწავლეების აფიცრებად გამოშვების დროს, 22 აპრილს, ხელმწიფემ, ცარსკოე სელოში, კეთილ ინება და შემდეგის სიტყვებით მიმართა მომავალ აფიცრებს: „მიმდინარე წელს თქვენ სამსახურში შესვლა აფიცრებათ გიხდებათ 4 თვით ადრე ჩვეულებრივ ვადაზე; ეს გამოიწვია ომმა და აფიცერთა სიკვდილმა შორეულ-აღმოსავლეთში. მე დარწმუნებული ვარ, რომ თქვენ ყოველ ღონესა და ცდას გაიღებთ, რათა პატიოსნად და თავ-განწირვით ემსახუროთ სამშობლოსა და მე, ჯარების იმ ნაწილებში, სადაც თქვენ დაგნიშნავენ ამისთანა მძიმე დროს, როგორიცაა ახლა რუსეთში. შეურყევლათ ასრულებდეთ ჩემს სურვილს, ღრმათ გრწამდეთ ღმერთი და სახელოვანი მომავალი რუსეთისა, იმედი იქონიეთ თქვენის ძალებისა, ნდობითა და პატივისცემით ეპყრობოდეთ თქვენ-თქვენ უფროსებს, იზრუნეთ თქვენს ხელ-ქვეით უბრალო ჯარის კაცებზე და გულმოდგინეთ მოუპყარით ხოლმე ყოველ მათს საჭიროებებს; ეს თქვენ სარგებლობას მოგიტანთ შემდეგ სამსახურში. გისურვებთ სრულს წარმატებას მომავალ სამსახურში და მოგილოცავთ აფიცრობას. სულ, 22 აპრილს, პაჟის კორპუსისა და სამხედრო და ნიკოლოზის საინჟინრო სასწავლებლებიდან გამოუშვეს 992 კაცი. ამ რიცხვს კიდევ 165 კაცი უნდა მიემატოს, რომელნიც იუნკრების სასწავლებელმა გამოუშვა პეტერბურგში.

ვარშავა, 22 აპრილი. ინჟინერთა და არქიტექტორთა დეპუტაციამ მიჰმართა მაგისტრატის პრეზიდენტ ბიბიკოვს და სთხოვა, ამ უკანასკნელ დროის ამბების გამო შეუძლებელი შეიქმნა ცხოვრების ნორმალური მსვლელობა და ამიტომ იშუამდგომლეთ ჩვენის მხრის მთავარ უფროსთან, რათა მან მოახდინოს უსასტიკესი გამოძიება ნამდვილ დამნაშავეთა აღმოსაჩენად. ამნაირი ზომები დაამშვიდებს მღელვარეთო.

კალიში, 22 აპრილი. ქსენძებს მიანდეს, მწყემსობრივი ზომები მიიღონ მცხოვრებთა დასამშვიდებლად.

ოდესა, 23 აპრილი. მებულკეებსა და პურის საცხობების პატრონთა შორის მოლაპარაკება ათ საათის სამუშაო დროს დაწესებით დაბოლოვდა.

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან".

23 აპრილი

გუნჩულინი, 22 აპრილი. ჯარებში ცვლილება არ მომხდარა. ქარიანი, ცივი და არეული დარებია.

პარიზი. ზოგიერთი გენერალური საბჭონი სთხოვენ მთავრობას, ჩაერიოს იგი ზავის ჩამოგდებაში. საფრანგეთის ფეცელმა ელჩმა პასუხად მიიღო, თქვენს მიერ წარმოდგენილი რეფორმები შემოღებულ იქნებიან იმ შემთხვევაში მხოლოდ, თუ ყველა დაინტერესებული სახელმწიფონი თანახმანი გახდებიანო.

აახენი. აქ ჩაიარა 12 სასანიტარო ვაგონმა, რომელნიც საფრანგეთიდან იყვნენ გამოგზავნილი რუსეთის ჯარისთვის მანჯურიაში.

პარიზი. იაპონიის ელჩმა მეორეჯერ განაცხადა პროტესტი და დაბეჯითებით ამბობს, მართალია როჟესტვენსკი კამრანიდან გავიდა, მაგრამ, გაიარა ძლიერ ცოტა მანძილი და ღუზა გადააგდოო.

ტიანძინი. ამბობენ, იაპონელები იერიშის მისატანად ემზადებიან ვლადივოსტოკსა და სახალინზე და ამით უნდათ ხელი შეუშალონ რუსის ფლოტს და არ აშოვნინონ წყნარ ოკეანეში საზღვაო ბაზაო.

რომი. რადგანაც კრიტოსის საქმეებს ძლიერ რთული ხასიათი მიიღეს, ამიტომ ტიტტონიმ დღეს დღისით მიჰპატიჟა სათათბიროთ მფარველ სახელმწიფოთა წარმომადგენელნი.—ხვალ ძეგლს უკურთხებენ ვ. ჰიუგოს დ'ორგეზეს უბანში.

შირნესი, (ინგლისი). კრეისერი „კინგ ალფრედ"-ი, რომელიც დღეს დღისით გავიდა ჩატამიდან ხმელთა შუა ზღვაში, შირნესთან გაირიყა. სცდილობენ რიყეს ჩამოაშორონ როგორმე გემი, მაგრამ ჯერ ამაოდ.

ლონდონი. საადმირალოთ ოფიციალურად განაცხადა, დიდი მანევრები, რომელნიც ივნისში უნდა მომხდარიყო, გადაიდო, ვინაიდან ამ დროს ისინი ხელს შეგვიშლიანო. ამ განცხადებამ დიდი განცვიფრება გამოიწვია. ზოგის აზრით, მანევრების გადადება საფრანგეთის ესკადრის ინგლისში მოსვლის ბრალიაო. მაგრამ, უეჭველად, ეს ზომა გაფრთხილების ნიშანია საერთაშორისო გართულება თუ მოხდა ამ დროისათვის.

მოსკოვი. შეინის რესტორანში თავი მოიკლა ციმბირის მეოთხე მსროლელ ბატალიონის პრაპორშჩიკ ბრეტონმა, 35 წლისამ.

ლონდონი. „დეილი მეილ" საყვედურს უცხადებს ადმირალ ფიცჯერალდის სტატიის გამო, რომელიც გერმანიის წინააღმდეგაა მიმართული და ამბობს, რომ ყოველი პატიოსანი ინგლისელი მისი წინააღმდეგიაო.

ჩიკაგო. ბურგომისტრს განზრახვა აქვს, გამოიწვიოს დროშის ქვეშ ყველა მცხოვრებლები, ვინც 18 წ. მეტის არიან, რათა ამით არ ჩაურიოს ჯარები საქმეში კუჩრების გაფიცვის დროს.

პეტერბურგის ბირჟა 22 აპრილს 1905 წ.

ლონდონისაზე 10 გირვ. ტ.	94,30
ბერლინისაზე 100 მარკაში	46,00
პარიზისაზე 100 ფრანკში	37,50
ლონდონისაზე ჩეკები	94,90
ბერლინისაზე „	46,30
პარიზისაზე	37,75½
ბირჟის დისკონტი	5½ 6¾%
4% სახელმწიფო რენტა	84
4%-ანი სახელმწ. სესხი 1902 წ.	—
4½% შინაგანი სესხი 1903 წ.	—
4% გირ. ფურ. სახელ. ს.-მამ. ბანკ.	—
5% 1 შინ. სესხ. მომ. ბილ. 1864 წ.	380
5% მეორე შინ. სესხ. მომ. ბილ. 1866 წ.	292¾
5% გირ. მომ. ფურც. სახ. სა.-მამ. ბან.	272
5% ობლ. ტფილ. საკრ. საზოგ.	—
5½% ობლ. იმავე საზოგად.	—
5%-ანი ობლ. ბაქოს საკრ. საზოგ.	—
5% გირ. ფურც. ტფილ. ს.-მამ. ბანკ.	—
4½% გირავ. ფურც. ამავე ბანკისა	—
6% გირ. ფურ. ქუთ. ს.-მამ. ბანკისა	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—
ა. ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია	219

რედაქტორ-გამომცემელი ალ. გ. ჯაბადარი

განცხადებანი

ტფილისის ნოქართა ურთ-ერთ დამხმარებელ საზოგადოების გამგეობა აუწყებს წევრებს, რომ საზოგადოების ექიმებად ითვლებიან:

1. **არწრუნი** ვ. მ.—ყელის, ცხვირის და ყურის ავადმყოფობის ექიმი. განოვის ქუჩა.
2. **გეორგ-ბეკიანი** ტ. პ.—თვალის ავადმყოფობის ექიმი. ბებუთოვის ქუჩა.
3. **ისტამანოვი** ხ. ს.—ვენერიული და კანის ავადმყოფობის ექიმი, ბებუთოვის ქუჩა, № 26.
4. **ქამოევი** ლ. ი.—ვენერიული და კანის ავადმყოფობის ექიმი, მიხაილოვის ქუჩა.
5. **კარაპეტიანი** ა. პ.—შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობის ექიმი. მიხაილოვის ქუჩა, № 94.
6. **უმიკოვი** ი. ბ.—შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობის ექიმი, განოვის ქუჩა, № 29.
7. **კლებანსკი** გ. ს.—ელისაბედის ქუჩა.
8. **მაისურიანცი**, პ. ა.—ველიამინოვის ქუჩა.

წესები სამკურნალო დახმარების შესახებ მსურველთ შეუძლიანთ მიიღონ გამგეობის კანტორაში, განოვის ქუჩა, ფრიდონოვის სახლი. (3—1)

ქუთაისში

სამ. ბ. თოფურიას

სამკურნალო,

რომელიც იმყოფება **მათი უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ.** სამკურნალოში 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო ღედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდებ სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს.

დღიური ფასი საავადმყოფოში შენახვის, და წამლობით 1 მანათიდან 3-მდე.

პირველი საწყობი.

შეშისა

✦ პ. ი. კურცხალიასი ✦

ანდრეევის ქუჩა, დამოვნის პირდაპირ. საკუთარის ტყიდან მიღებულია დიდ-ძალი შეშა ყოველგვარ ღირსებისა, რცხილისა, წიფლისა, მუხისა, რთხმელისა და სხვა მუხის დიდი ბოძები. შეშის სახლში მიტანას ფირმა საკუთარ პოვოზკებით კისრულობს. შეშა იყიდება საჟენობითაც და ფუთობითაც. მყიდველს ნება აქვს შეშის ჩაჟენი თავის თვალ წინ დაადგმევინოს, რადგანაც მსყიდველები ბევრჯელ სტყუვდებიან დადგმულ საჟენებიდან. მეორე განყოფილება იმყოფება ვერის ხიდის ყურთან.

(90—40) **გამგე ნიკოლოზ პავლეს ძე კიკნაძე.**

ერთი ფინჯანი კაკაო

ვან-ჰუტენისა

საუკეთესო მოსანელებელი საუზმე

Фабриканты C. J. van Houten & Zoon, Weesp (Голландія)

(4—მკ.—4)

Какао ванъ-Гутенъ.
Н.НИКОЛЬСКIЙ МОСКВА

ტფილისის **სიონის ტაძრის** გვერდით არის აკვპარქიო საწყობი საეკლესიო ყოველ გვარ ნივთეულობათა, სადაც ყველა ნივთეულობა ისყიდება იაფად, თითქმის ქარხანათა ფასებით. იქ ისყიდება: ხატები, ჯვრები, ბაირაყები (ხორუგვი), შანდლები, შვიდ სასანთლები, კანდელები, ფარჩეულობა და მზად შეკერილი შესამოსელნი სამღვდელო და სადიაკვნო. შეკვეთითაც შეიძლება შეიკეროს საჩქაროდ და იაფად შესამოსელი დაწყებული 14 მან. ვიდრე 150 სანეთამდის. სანთლის ქარხანაშიაც შეიძლება შეკვეთა და საწყობშიაც. (0—7)

ცხოვრების სალსარი

ვასწავლი საფუძვლიანად, პირადად და წერილებით ყველა ენებზე, დამზადებას—საპნის, სოდის, ნაცარწმენდილის. სამკავრის და გოდორების წასასმელის, სარკეების, ასანთები ზეთის, ლილას და ბევრ სხვა საგნების. დაწვრილებით პირობებს ვაცნობებ იმას, ვინც ორ 7 კაპეიკიან მარკას გამომიგზავნის. ადრესი: Баку, Одесское химическое производство И. Бромбергу. (4—190—1)



СѢДЕЛЬН. СПЕЦІЯЛЬН.

Безъ конкуренціи

продаются всевозможн. сѣдла.

მიხაილოვის პრ., სახლი აკოფოვისა, № 92, საზაფხულო სობრანიეს ახლოს. (წ.—365—209)

ახლად დაბეჭდილი

სამზარეულო

ფასი 1 მან. 50 კაპ.

იყიდება წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგ. კიოსკში, ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ, ალექსანდრეს ბაღის კუთხეში, ქ. ტფილისში. ვისაც ათის ან მეტის ეგზემპლიარის ყიდვა ჰსურს, მიჰმართონ ქართველთა ამხ. კანტორას, ვანქის ქუჩაზე, ამხ. სტამბაში. (25—23)

„ცოდნა" ქართული წიგნის მაღაზია

ტფილისი, ქვაშვეთის ქუჩა, არჯევანიძის სახლი (ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ).

იყიდება ყოველგვარი ქართული წიგნები და სკოლებში სახმარებელი სახელმძღვანელოები.

მიზანი „ცოდნის" მაღაზიისა არის გავრცელება ხალხში და საზოგადოებაში გამოსადეგ, სასარგებლო და ყველასთვის ხელ-მისაწდომ წიგნებისა. **მსურველთ** წიგნები ეგზავნებათ ფას დადებითაც.

იყიდება კალენდრები—ჯიბისა 10 კ. კედლისა 40 კ. ერთბაშად ბევრის მყიდველებს ფას დაკლებით

ადრესი: Тифлисъ, книжный магазинъ „ЦОДНА".

(წლ.). წიგნის მაღაზიის გამგე **სოსიკო მერკვილაძე.**

კაჯკახიის საბრეშუმო სადგურის საწყობში (ტფილისი, მუშტაიდი) იყიდება

✦ ცელულიარული გრენა ✦

(აბრეშუმის თესლი)

თეთრი და ყვითელი ჯიშისა—მისხალი 40 კაპ.; ჭიის გამოკვების, თესლის დამზადების, აბრეშუმის ძაფის ამოხვევის და საფეიქროსათვის საჭირო მანქანები და იარაღი, მეაბრეშუმეობის სახელმძღვანელოები და კოლექციები.

ფუტკრის გაშენებისათვის საჭირო იარაღი და მანქანები: სკები, ხელოვნური ფიჭა, თაფლის საქაჩავი, სხვა-და-სხვა სისტემის სკების გეგმები, სახელმძღვანელოები და სხვა საჭირო საგნები. პრეისკურანტი უფასოდ (15—6.—10)

ქ. ბათუმში

ბ. კილაძის და გ. თავართქილაძის საუკეთესოდ მოწყობილი

სტამბა

მარინსკი პროსპ. ტფილისის სავაჭრო ბანკის სახლში

წიგნის მაღაზია და საკანცელარიო ნივთების საწყობი

დონდუკოვ-კორსაკოვის ქუჩ., იმავე ბანკის სახლში.

1. **სტამბა ღებულობს დასაბეჭდათ:** წიგნებს, ბლანკებს, აფიშებს, პრეის-კურანტებს, კანვერტებს, სადარბაზო ბარათებს და სხ. ყოველ-გვარ სასტამბო საქმეებს: რუსულს, ქართულს, სომხურს და სხვ. ყველა ევროპიულ ენებზე.
2. **წიგნის და საკანცელარიო ნივთების საწყობში მოიპოვება:** ქართულ-რუსული წიგნები და კალენდრები, მრავალგვარი რვეულები, კანტორის წიგნები სხვა და სხვა ზომისა და ღირსების, წიგნის და ფოსტის ქაღალდები, როგორც რუსული, ისე საზღვარ-გარეთის; კანვერტები სავაჭრო და საკანცელარიო; ალბომები, ლენტები გარდაცვალებულთათვის; მხატვართათვის საჭირო იარაღები და სხვა ყოველგვარი სამწერლო და საკანცელარიო ნივთები და სხვ. (0—18)

განცხადება

გვაქვს პატივი ვაცნობოთ პატივცემულ საზოგადოებას, რომ ჩვენ საზღვარ-გარეთიდან ეხლახან მივიღეთ აუარებელი საუკეთესო სისტემის

საკერავი მაშინები

ყოველივე თავის მოწყობილებით.

ფასი ძლიერ პირიანია.

ხელ-მოკლე მუშტრებს საკერავ მაშინებს ვაძლევთ ნისიადაც, რომელთაც შეუძლიანთ წვრილ-წვრილად გადაიხადონ მაშინის საფასური. სიონის ქ. მაისურაძის და ხოჯაფირუზოვის ქარვასლა.

(15—14) პატივის-ცემით გ. ა. ლაზარევი და ძმანი ჯუმუხაძეები



ფეხსაცმელი

ს.-პეტერბურგის სამექანიკო წარმოების ამხანაგობისა,

მკვიდრი, კოხტა და მსუბუქი, ქალისა, კაცისა და ბავშვისა,

აგრეთვე მაღალ-მაღალები და სანდალიები. ყველა ამის შეძენა შეიძლება ტფილისსა და ამიერ-კავკასიის სხვა ქალაქების საუკეთესო მაღაზიებში

გთხოვთ ყურადღება მიაქციოთ საფაბრიკო ნიშანს

ტყავის საქონელი

რუსეთსა და საზღვარ-გარეთ დამზადებული, მრავლად არის

სავაჭრო სახლის

„ლეოპოლდ ნეიშელლერ"-ის საწყობში

ტელეფონი № 346. ერევნის მოედანი. (60—ნ.—22)

ШВЕЙНЫЯ МАШИНЫ
ШВЕЙНЫЯ МАШИНЫ
ШВЕЙНЫЯ МАШИНЫ

КОМПАНІИ ЗИНГЕРЪ

Необходимы для домашняго употребленія. Образцовы въ конструкціи и исполненіи. Продаются только въ магаз. Комп. Зингеръ.

Отпускъ машинъ съ платежемъ **отъ 1 рубля въ недѣлю.**

Безплатное обученіе шитью и моднымъ художественнымъ вышивкамъ.

Остерегайтесь поддѣлокъ!

Ручныя машины съ высокимъ рукавомъ во всѣхъ нашихъ магазинахъ отъ 25 руб.

Болѣе 1200 собственныхъ магазиновъ по всей Россіи!

Магазинная вывѣска
Рисунокъ утв. Отд. пром. и торг. М. Фин.

фабричное клеймо которымъ снабжены машины.

საკერავი მაშინები ზინგერის ამხანაგობისა

იყიდება მხოლოდ ამხანაგობის საკუთარ მაღაზიებში. ამხანაგობას 1200-ზე მეტი მაღაზია აქვს რუსეთის სხვა-და-სხვა ქალაქში. მაღაზიები გაიგება ზედწარწერით რომელზედაც გამოხატულია ასო „ზ". ნახატი დამტკიცებულია ფინანსთა სამინისტროს სამრეწ. და სავაჭრო განყოფილების მიერ. გაუფრთხილდით, არ მოგატყუონ! ყიდვა მაშინისა შეიძლება ნისიად, და ფულის ნაწილ-ნაწილ შემოტანით, კვირაში თითო მანეთიდან. (25—6).

ტფილისსა და დილომს შუა სამგზავრო ეტლი მიმოდის ყოველ დღე

დილიდან ვერაზე:		ვერიდან დილომს:
დილის 7 საათზედ	25	დილის 9 საათზედ
ნაშუადღევის 3 საათ.		საღამოს 5 საათზედ
მგზავრზედ		კაპეიკი.

პატარა მოსწავლეთათვის 15 კაპეიკი. (10—9)

Въ Уѣздномъ Городѣ Тифлисской Губерніи

АПТЕКА

ПРОДАЕТСЯ,

МОЖНО и ВЪ АРЕНДУ,

Адресъ: Тифлисъ, Аптекарю В. К. Прейсбергу. (3—3)

Доз. цен. Тифлисъ, 23 Апрѣль 1905 г.   Электропеч. груз. изд. т—ва. ელექტრონის სტამბა წიგ. გამომ. ამ—ბ.